კვირა, 18 მაისი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 26 ყოველკვირეული ჟურნალი № 26

რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პრო. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია და კანტორა
ღია ყოველ დღე { დილის 9—1-დე. საღამოს 3—5½-დე.
კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

ერთი ფრონტისკენ

საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობამ ყველას დაანახა, რომ მტრების მისწრაფება, ჩვენ პარტიაში განხეთქილების შეტანის შესახებ, სრულიად უბრალო და უნაყოფო გამოდგა.

როცა ადევნებ თვალს ამ ყრილობის დადგენილებებს, ყრილობის ერთსულოვან მუშაობას, რა სასაცილოდ და გულუბრყვილოდ გეჩვენება ოდესღაც არალეგალური მენშევიკური ცეკას დადგენილება „კომპარტიაში არსებულ ოპოზიციებთან“ შეთანხმების შესახებ.

პარტიის ყრილობა დამთავრდა იშვიათი ერთსულოვნობით.

ლენინის სული ტრიალებდა ყრილობაზე. ლენინის ხელი ხელმძღვანელობდა ამ ყრილობას, ისე, როგორც მთელ პარტიას ხელმძღვანელობს უკვდავი ლენინი.

გაუცრუვდა იმედები თეთრ ემიგრაციას, რომელიც ლენინის სიკვდილის შემდეგ ელოდა პარტიის დაშლას, დანგრევას.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა დასავლეთ იმპერიალიზმს, რომელიც ლენინის სიკვდილის შემდეგ ელოდა საბჭოთა ხელისუფლების დანგრევას.

საქართველოს კომპარტიის ყრილობა, ადერბეიჯაინის და სომხეთის პარტიული ყრილობები აშკარად ამტკიცებს, რომ პარტია მაგარია, პარტია თანდათან უფრო მაგრდება და მას ვერ შეანგრევს ვერც თეთრ ემიგრაციის პროვოკაცია და ვერც რეაქციონურ-კაპიტალისტურ მთავრობის შავი მახინაციები.

ეს სიმტკიცე, სიმაგრე დამთავრებული იქნება ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობისაგანაც. ეს სიმტკიცე გადატანილი იქნება რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობაზეც, რომელიც ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ჩვენს მტრებს, რომ კომუნისტურ პარტიას მაგრად აქვს გადგმული ფესვები მუშათა კლასში და ამიტომ ვერავითარი ძალა მას ვერ შეარყევს.

ამ სიმაგრემ, ერთსულოვნობამ მოიყვანა კომუნისტური პარტიის მეთაურობით მშრომელი მასა ოქტომბრის რევოლიუციამდე.

ამ ერთ სულოვნობამ პარტიაში გადაარჩინა ოქტომბრის რევოლიუცია დაღუპვისგან.

პარტიის გამჭრიახმა პოლიტიკამ, პარტიაში გამაგრებულმა დისციპლინამ და ერთსულოვნობამ გაამაგრა საბჭოთა ხელისუფლება, მიიყვანა ის იმ დიად მიღწევამდე, პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში, რომლითაც მშრომელ კლასს შეუძლია თამამად იამაყოს.

ეს ერთსულოვნება და სიმაგრე სამუდამოდ მოსპობს კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და მიიყვანს მშრომელ მასას საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებამდე.

არჩევნები საფრანგეთში.

ამ უკანასკნელ ხანში ევროპაში, თითქმის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფოებში მოხდა პარლამენტის ხელ ახალი არჩევნები.

„სეზონი“ ინგლისმა გახსნა, მას გერმანიის არჩევნები მოჰყვა, ხოლო უკანასკნელ კვირაში არჩევნები საფრანგეთში სწარმოებდა.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან არჩევნების შედეგები პირველ ორ სახელმწიფოებში.

ინგლისში, როგორც ვიცით, გაიმარჯვა მუშათა პარტიამ, გერმანიაში კიდევ არჩევნების შედეგათ გაძლიერდენ კომუნისტები და მემარჯვენეები, დღეს ჩვენ მივიღეთ ცნობა. საფრანგეთში არჩევნების შესახებ.

ამ ცნობების თანახმათ გამარჯვება წილათ მემარცხენე ბლოკს ხვდა. ამ არჩევნების შემდეგ ერთი რამ თამამათ შეიძლება ითქვას. ევროპის საზოგადოებრივი აზრი დღეს საგრძნობლად გადაიხარა მარცხნივ. ან და უკეთ რომ ვსთქვათ, ევროპაში ერთგვარი დიფერენციაცია მოხდა. საზოგადოება დაიყო ორ უმთავრეს ჯგუფებათ. სოციალური მდგომარეობის მიხედვით, ნაწილი მემარჯვენეთა ბანაკში აღაიბარგა, ნაწილი მემარცხენეთა რიგებში აღმოჩნდა.

ეს განსაკუთრებით მკაფიოთ გერმანიაში დავინახეთ.

საფრანგეთშიც, მიღებული ცნობების თანახმათ, საზოგადოებრივი აზრი მარცხნივ დაექანა და მემარჯვენე ბლოკმა სასტიკი დამარცხება იგემა. ვერ გავიდა პალატაში ამ ბლოკის ისეთი მეთაურები, როგორიც არის ლეონ დოდე (ცნობილი როიალისტი), დამარცხდა აგრეთვე სამხედრო კასტის წარმომადგენელი გენერალი კასტელნო, პარლამენტის კარების გარეთ დარჩა ცნობილი ტარდიე, რომელიც რეაქციის სულის ჩამდგმელ კლემანსოს მარჯვენა ხელი არის, ამ რიგათ პუანკარე—ომს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ამ უკანასკნელის დამარცხება არჩევნებში უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტია.

როგორც ვიცით უკანასკნელ ხანებში პუანკარეს საფრანგეთი იყო სულთამხუთავი ჟანდარმი მთელი ევროპისათვის. ძველი რუსეთის ადგილი მან დაიკავა. არჩევნებში, დამარცხების შემდეგ, აშკარაა, რომ პუანკარემ უნდა გაანებოს თავი ძველ პოლიტიკას, უნდა ამოიდოს პირში ლაგამი და თავ აღებულ რეაქციონურ მოღვაწეობაზე უარი სთქვას. ესეც მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში, ვინაიდგან მემარცხნე ბლოკის გამარჯვების შედეგათ, ადვილი შესაძლებელია, ჩვენ საფრანგეთში სრულიად ახალი მთავრობა მივიღოთ. საფრანგეთის არჩევნები ჩვენთვის მეორე მხრივაც არის საყურადღებო. ჩვენ მშრომელ მასას, საფრანგეთის მშრომელ მასასთან ერთად სიამოვნებით შეუძლია მიიღოს „პუანკარე ომის“ დამარცხების ამბავი.

პუანკარე და მისი მიმყოლი წრეები უკანასკნელ ხანამდე უსასტიკესი მტრები და მოწინააღმდეგენი იყვნენ და არიან ჩვენი სოციალისტური კავშირისა.

მთელს ევროპაში თითქმის ერთად ერთი პუანკარეს საფრანგეთია დღეს, რომ ჩვენთან ურთი ერთობის განახლებაზე ლაპარაკიც კი არ დაუწყია.

მთელს ევროპაში ერთად ერთი პუანკარეს საფრანგეთია დღემდის, რომ არ შეუწყვეტია ავანტიურისტული მახინაციები ჩვენი კავშირის წინააღმდეგ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ხრიკებით ჩვენსა და რუმინიის შორის ჩაიშალა მოლაპარაკება ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მიზნით გამართული.

საფრანგეთის მთავრობა დღემდის ასაზრდოებს და ასულდგმულებს უმრავ ხროვას სხვადასხვა ჯურის კონტრევოლიუციონერებისას, რომელნიც რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ გადაიბარგენ საზღვარ გარეთ.

საფრანგეთის „ხარჯზე" სულდგმულობენ მრავალი წვრილი „ფინანები", რომელთაც პატრონი მხოლოდ იმიტომ ითმენდა და ითმენს, რომ მოხერხებულ დროს ჩვენს წინააღმდეგ აამოქმედოს.

მაგრამ ამ არჩევნებმა დაგვანახა, რომ ის, რასაც სჩადიოდა პუანკარე, არ იყო ნება და სურვილი საფრანგეთის ხალხისა. ამ არჩევნებმა გამოააშკარავა, რომ პოლიტიკა ძარცვა გლეჯის, ყაჩაღობისა და ავანტიურების, რომელსაც გულმოდგინეთ ატარებდა ბატონი პუანკარე და მისი დამქაშები არ ეთანხმებოდა საფრანგეთის ხალხის სურვილს, არ ეყრდნობოდა უართო მასების თანაგრძნობაზე. ვერსალის „ზავის" გმირი, გარიყული აღმოჩნდა არჩევნების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დამარცხებული გერმანია უმოწყალოთ გაატყავა და გაძარცვა.

საფრანგეთის ხალხის ფართო მასები, არც ამ საქმეში ედგა გვერდში ბატონ პუანკარესა და მის ძმებს. ის მუშაობდა მათ სურვილების წინააღმდეგ.

მან გააღატაკა საფრანგეთი, გამოაცალა მას სასიცოცხლო ძალების დიდი მარაგი და ამიტომ ლაზათიანი პანჩურიც მიიღო.

ვიმეორებთ, „პუანკარე—ომის" დამარცხებას უკანასკნელ არჩევნებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმ მხრივაც, რომ მისი სახით ჩვენს სოციალისტურ საბჭოთა კავშირს, მშრომელთა რესპუბლიკას, ერთი უმძაფრესი მტერი კიდევ მოაკლდა.

გ. ვ.



ჩვენ და გერმანია.

გერმანია პირველი სახელმწიფოა, მთელს ევროპაში, რომელმაც ყველაზე უწინ დადგა ჩვენი რესპუბლიკების მიმართ გარკვეულ კეთილ განწყობილების პოზიციაზე და ავანტიურებს ამჯობინა ისევ საქმიანი ურთი ერთობის გაჩაღება. ომის შედეგად განადგურებული და დაუძლურებული გერმანიის ინტერესები მკაცრად მოითხოვდა ამას გერმანიის მაშინდელ მესვეურთაგან. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ნედლი მასალა და განსაკუთრებით პური, ფრიად დიდ ღირებულებას წარმოადგენდა დამშეულ გერმანიისათვის. ამით აიხსნება ის, რომ გერმანიამ სხვაზე უწინ გამოგვიწოდა ჩვენ შესარიგებლათ ხელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მესვეურნი სულით და გულით ჩვენი უსასტიკესი მტრები იყვნენ და არიან ეხლაც.

გერმანიის ეკონომიური ინტერესები მოითხოვდა ჩვენთან ურთი ერთობის განახლებას.

სხვა გასაქანი, სხვა გზა გამოსავალი იმ ქუჩაბანდიდგან, რომელშიაც ინგლის-საფრანგეთის მადა აშლილმა ქოპაკებმა მიაგდო გერმანია, მას არ ჰქონდა.

ჩვენც ფრიად გვჭიროდა ევროპასთან კავშირი. ჩვენთვის საჭირო იყო მრავალი საწარმოო იარაღები, ნაწილობრივ ევროპის ფაბრიკატებიც. საჭირო იყო აგრეთვე ევროპის ბაზარზე გასვლა და გატანა ქვეყნის შიგნით დაგროვილ სიმდიდრისა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, ასეთი კავშირი მეტად საჭირო და ხელსაყრელი იყო ჩვენი წარმოებისა და ვაჭრობა მრეწველობის აღორძინებაგანვითარებისათვის. ევროპაში კი ხელსაყრელი პირობები ამისათვის არ იყო. ინგლის-საფრანგეთი ჯერ კიდევ არ ანებებდა თავს ავანტიურებს ჩვენს წინააღმდეგ ბლოკადა, რომელმაც შესცვალა ანტანტის შეიარაღებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ ჯერ კიდევ გრძელდებოდა, და რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ლაპარაკი სულთამხუთავებთან ზედმეტიც იყო. ლოიდ ჯორჯის ინგლისი და მილიერან-პუანკარეს საფრანგეთი, სოციალისტურ კავშირის საკუთარ ტყავში გაგუდვას ელოდა, რომ შემდეგ დაენაწილებინა რუსეთის ტერიტორია. რა თქმა უნდა, ისინი ჩვენ ხელს არ შეგვიწყობდენ, პირიქით შეგვიშლიდენ და ასეც იქცეოდენ. გერმანიის ს სოციალისტურ კავშირის ეკონომიური ინტერესები ამ შემთხვევაში უფრო ერთგვარი აღმოჩნდა. ინტერესთა იგივეობას მოყვა ზოგიერთი პრაკტიკული ნაბიჯებიც, რომლის შედეგათ მივიღეთ ცნობილი ხელშეკრულება რაპალოში.

ამ ხელშეკრულების დადებით საბჭოთა კავშირმაც და გერმანიამაც საკმაოთ მოიგო. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში, ჩვენ შორის ურთიერთობა გართულდა. გართულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ გერმანელი ფაშისტები შეიჭრენ ჩვენი წარმომადგენლობის ბინაში და გაჩხრიკეს ის. კიდევ მეტი; მთავრობის კომისარის ხელმღვანელობით დატუსაღებული იქნენ რამოდენიმე თანამშრომელნი ჩვენი წარმომადგენლობისა, მათ ხელითაც კი მიაყენეს შეურაცყოფა.

ასეთი მაგალითი, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობის ასე ურცხვად და უტიფრად დარბევის, ისტორიას თითქმის არ ახსოვს. ცხადია, ეს ნაბიჯი განზრახ იყო გადადგმული. ჩვენი მისიის დარბევით სურდათ ჩვენს მტრებს, უთანხმოება ჩამოეგდოთ ჩვენსა და გერმანიის მთავრობის შორის. გერმანელი ფაშისტებისათვის ეს ფრიად ხელსაყრელი იყო მრავალი მოსაზრებით.

მაგრამ გერმანიის ხალხისათვის და გერმანიის ვაჭრობა მრეწველობისათვის ჩვენთან წაკიდება დღეს ხელსაყრელი არ არის. ეს გვაძლევდა საბუთს გვეფიქრა, რომ გერმანიის მთავრობა აქ არაფერ შუაში იყო. ამიტომ გერმანიის მთავრობას უნდა მიეღო ენერგიული ზომები დამნაშავეთა დასასჯელათ. ის უნდა სცდილიყო მომხდარი ინციდენტი უშტკივნელოდ მოეგვარებია, ვინაიდგან საბჭოთა კავშირი დღეს გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით ბევრს არაფერს დაჰკარგავს, ხოლო გერმანიის მდგომარეობაზე კი ეს ფრიად ცუდ გავლენას იქონიებს.

საბჭოთა კავშირი დღეს უკვე საკმაოთ ფეხ მოკიდებულია დასავლეთ ევროპის ბაზარზე. მთელ რიგ წვრილ და მსხვილ სახელმწიფოებთან, არის უკვე განახლებული ნორმალური ურთიერთობა, ვაჭრობა, გაცვლა-გამოცვლა. ზოგიერთებთან მოლაპარაკება ეხლა იწყება, ზოგან უკვე სწარმოებს. საბჭოთა პური ევროპის ბაზარზე უკვე ბატონობს და თავის ამერიკელ კოლეგას მიერეკება იქიდგან. საბჭოთა ნავთიც გაჩნდა ევროპის ბაზარზე.

ერთი სიტყვით საბჭოთა კავშირმა ფაქტიურად უკვე დაარღვია ბლოკადა იმპერიალისტური სახელმწიფოების და დღეს მათთან იურიდიულ ურთიერთობის ნორმებს იმუშავებს. მაშასადამე გერმანიის ბაზრის დაკარგვა დღევანდელ პირობებში, მართალია არ არის საჭირველი, მაგრამ დიდ ზიანს ჩვენს ქვეყანას არ მიაყენებს.

სამაგიეროთ გერმანიას კი არ შეუძლია ასევე გულ დამშკიდებით მოგვეპყრას ჩვენ.

საბჭოთა პურის დაკარგვა, ჩვენი ნედლი მასალის წართმევა მისთვის დიდი და მძიმე განსაცდელი იქნება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანიის მთავრობა ინციდენტის შესახებ მაგრათ ლაპარაკობდა, აქეთაც კი გვედავებოდა ბ-ნი შტრეზემანის პირით, არ სცნობდა საჭიროდ ბოდიშებს, და ჩვენი წარმომადგენლობის დატუსაღებულ თანამშრომელთა გასამართლებასაც კი აპირებდა, სანამ ამბ. კრესტინსკიმ არ მიატოვა ბერლინი და მოსკოვში არ გამოემგზავრა.

მაგრამ საკმარისი შეიქნა ერთი მტკიცე ნაბიჯი ჩვენის მხრივ, რომ იგივე ბატონი შტრეზემანი სულ სხვა ენაზე აჭიკჭიკებულიყო, საბჭოთა რესპუბლიკების ელჩის ბერლინიდგან წასვლისთანავე ახალი ტკბილი სიმღერა წამოეწყო. ის მზათ არის გაანთავისუფლოს დატუსაღებული თანამშრომლები ჩვენი წარმომადგენლობისა

ეს ფაქტი უსათუოდ იმის მაჩვენებელია, რომ გერმანიის მთავრობა უფრთხის ჩვენთან სერიოზულ უთანხმოებას.

სხვა გვარათ არც შეიძლება.

თუ გერმანიას სურს არსებობა, თუ მას არ განუზრახავს ცოცხლათვე ეყმოს ანტანტას, ის ჩვენთან მეგობრულ განწყობილებაში უნდა იყოს.

მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გერმანიის მშრომელმა ხალხმა საკმაოთ გარკვეულათ განაცხადა ასეთი სურვილი უკანასკნელი არჩევნების დროს.

ვ. ბ.

ფეთანხმეგა, მაგრამ არა დათმოგა.

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობამ, სხვათა შორის მიიღო, ასეთი რეზოლიუცია:

„ყრილობა აღნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის მიერ მთელ მუშათა კლასში გავლენისა და ნდობის მოპოვების ამოცანა უკვე გადაჭრილია. საჭიროა მხოლოთ მისი განმტკიცება და მომავალში ჩვენი პარტიის დაახლოვება წინათ ჩვენ მოწინააღმდეგე მუშებთან—ყოფილ მენშევიკებთან, იმ ანგარიშით, რომ არავითარმა გართულებამ, როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო მდგომარეობაში არ გამოიწვიოს მუშათა კლასის უმნიშვნელო ჯგუფებშიაც კი ხელ-ახალი გადახრა მენშევიზმისკენ.

ამ მხრივ ყრილობა სრულიად სამართლიანად სცნობს ც. კ. გადაწყვეტილებას და აგრეთვე თბილისის უკანასკნელ კონფერენციის დადგენილებებს ყოფილ მენშევიკების შორის მუშაობის შესახებ.

არ უარყოფს რა გადაჭრითი ზომების მიღებას და ულმობელ ტერორს იმ მენშევიკებისა, ნაციონალ-დემოკრატებსა და სხვ. მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას, ყრილობა ამ ჟამად მთავარ ლოზუნგად აცხადებს არა ტერორს და ძალადობას, არამედ შეთანხმებას წვრილ-ბურჟუაზიის იმ ჯგუფებთან, რომლებიც პატიოსნად და გულწრფელათ გადადიან საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე. ეს შეთანხმება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც დათმობა კლასიურ, პროლეტარულ პოლიტიკის საკითხებში, ან კომუნისტურ პოლიტიკის უარყოფა, არამედ როგორც ბრძოლის და მტრობის მოსპობა იმათთან, რომლებმაც პირველად დაყარეს ბრძოლის იარაღი პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე“.

კომუნისტურმა პარტიამ უკვე დაამტკიცა, რომ მისი ხაზი გამართლებულია ისტორიის მიერ.

პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებში კომპარტია გამოვიდა გამარჯვებული.

რუსეთის რევოლიუციის პრაქტიკაში აშკარად დამტკიცდა, რომ პროლეტარიატის წმინდა კლასიურ პოზიციაზე ადგა მხოლოთ კომპარტია.

ამიტომ, ცხადია, ის ელემენტები, რომლებიც მიზნად ისახავდენ პროლეტარიატის სამსახურს და გამოსული არიან პროლეტარიატის წრიდან, ვერ აუვლიდენ გვერდს იმ მიღწევებს, რომელსაც ადგილი აქვს კომუნისტური პარტიის მუშაობაში.

ეს ელემენტები ანებებენ თავს ძველ შემცდარ გზას და იკრიბებიან კომპარტიის ირგვლივ.

კომპარტია, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ელემენტებმა დიდი ვნება მიაყენეს პროლეტარიატის საქმეს თავიანთი შემცდარი გზით, მაინც ლმობიერებით ეპყრობა მათ და თავის კარებსაც უხსნის პარტიის რიგებში ჩასაყენებლად.

აქ არის შეთანხმება, მომხლარი შემცდარი პოზიციის დათმობაზე და ისტორიის მიერ გამართლებული პოზიციის მიღებაზე.

ის ელემენტები კი, რომლებიც თავიდანვე არ ისახავდენ მიზნად პროლეტარიატის სამსახურს, მაგრამ დღეს, ხედავენ რა პროლეტარიატს გამარჯვებულს, ქედს იხდიან მის წინაშე, მართალია იდეოლოგიურად ძნელად თუ შეუერთდებიან კომპარტიის იდეოლოგიას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, დარწმუნდენ რა თავიანთ პოლიტიკის უნაყოფობაში, საჭიროთ სცნობენ კომპარტიის გზაზე დადგომას.

ასეთ ელემენტებთან შეთანხმება ნიშნავს მათ სრულ განიარაღებას და გამოყენებას პროლეტარიატის საქმის სასარგებლოდ.

კომპარტიას აინტერესებს არა შურის ძიება ვინმეს წინააღმდეგ, არამედ მუშათა კლასის იდეალის და მისწრაფების გამარჯვება. ამიტომ ვინც ამ საქმეში იქნება ხელშემწყობი, მას პარტია ყოველთვის შეუთანხმდება და შეუერთდება.

ყოფილ მენშევიკების ერთ ნაწილში, ინტელიგენტურ ელემენტებში, ადგილი აქვს მიდრეკილებას მენშევიზმის ლეგალიზაციის შესახებ. მათ სურთ მენშევიზმი შეაკეთონ, შეალამაზონ და შეუფარდონ საბჭოთა წესწყობილებას.

აშკარად ასე ჯერ არსად არ დასმულა კითხვა. მაგრამ ის ლოზუნგები, თეზისები, დებულებები, რომელსაც ხშირად აქვეყნებს ს. დევდარიანი, აშკარა დამამოწმებელია ამისი.

ამ მიმართულებას სრულიად სამართლიანი პასუხი გასცა ყრილობამ.

— „პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მენშევიზმის ყოველივე ცდას ლეგალობის მოპოვების საკითხში,—ამბობს ყრილობის რეზოლუცია ამის შესახებ,—და არ უნდა მოსტყუვდეს იმ ლოზუნგებით და პლათფორმებით, რომლებიც მხოლოთ გარეგნულად ანახლებენ და ქარგავენ მენშევიზმს. პროლეტარიატის დიქტატურა მხოლოთ იმ შემთხვევაშია მტკიცე, როცა მთელი პოლიტიკური უფლებები რევოლიუციონურ პროლეტარიატის და მუშათა კლასის ერთად ერთ პარტიის კომუნისტურ პარტიის (ბოლშევიკების) ხელშია“.

თუ იმ ელემენტებს, რომლებიც დღეს ფიცულობენ პროლეტარიატის დიკტატურაზე, მართლა გულწრფელად სურთ პროლეტარიატის სამსახური, მათ უნდა დაანებონ თავი მენშევიზმის გადახალისებას და საბჭოთა ხელისუფლებასთან შეხამებას.

მენშევიზმი, როგორც პროლეტარიატის საწინააღმდეგო მიმართულება, უკვე ჩაბარდა ისტორიის ფურცლებს თავისი შეცდომებით, ყალბი გზით და აურაცხელი მსხვერპლებით.

და მას დღეს ვერ უშველის ვერავითარი „შეზხაპუნება“, ვერავითარი რეცეპტები.

საჭიროა ამ მიმართულების სრული დასამარება და დადგომა იმ გზაზე, რომელიც რევოლიუციის ისტორიაში უკვე შეეიდა როგორც გამარჯვებული გზა.

მენშევიზმი, ან სხვა რომელიმე პარტია, რა ფორმებშიც არ უნდა ჩამოყალიბდენ ისინი, ბოლოს მაინც უნდა ჩადგენ კომპარტიას წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. ეს ბუნებაა თვითეული პარტიის. და ამ ბუნებას ვერ ამოშლის პარტიის წიაღიდან ვერც ს. დევდარიანი და ვერც სხვა ვინმე.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი პარტია, რომელიც არ ებრძოდეს მეორე პარტიას.

ასეთ პარალელურ პარტიის შექმნას აუცილებლად მოყვებოდა ის შედეგი, რომელიც ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში.

ეს ბრძოლა შეაფერხებდა, დააგვიანებდა პროლეტარიატის მოძრაობას, წინსვლას.

ამიტომ სრულიად კანონიერია ყრილობის მკაცრი რეზოლიუცია ასეთი მიდრეკილების საწინააღმდეგოთ.

ვინც პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე სდგას, ის უნდა შემოკრბეს იმ პარტიის ირგვლივ, რომელმაც განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა და შექმნა ამ დიქტატურის გამტარებელი სისტემა, საბჭოთა ხელისუფლება.

ახალი ორგანიზაციების ძებნა კი არის ივივე, მაგრამ პირახვეული ბრძოლა არა საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლად, არამედ მის დასანგრევად.

ა. რ.

მეტი ყურადღება გაზარს

ფულის რეფორმის გატარებას მოჰყვა ბაზარზე ფასების დაკლება. ბაზრის მდგომარეობა დღეს ცენტრში მშვენიერია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სოფელიც გრძნობს ამ რეფორმას საკმაოდ. სამწუხაროთ, საქონლის სოფელში გაგზავნა ჯერ კიდევ ვერაა სათანადოთ მოწყობილი. ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ძვირია ქალაქის საქონელი.

ქალაქებში ფასების დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება გამოდგეს დროებითი, თუ არ იქნა მიღებული შემდეგი ზომები საქონლის ინტერვენციის მხრით.

ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენს კოოპერატივებს არ აქვთ საჭირო საქონელი. ამიტომ მომხმარებელი ისევ კერძო ბაზარს მიმართავს. **შინა ვაჭრობის ორგანოების უმთავრეს საგანს შეადგენს საქონლის საკმაოდ მომარაგებაზე ზრუნვა და ამ საქონლის რაციონალურად განაწილება მომხმარებელ რაიონებში.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ორგანოებს ეტყობა მოდუნება. ჩვენ თითქო დავკმაყოფილდით იმ მდგომარეობით, რაც დღეს გვაქვს და მივეცით თავი ძილს.

ავიღოთ თუნდაც ხორცის საკითხი,

მაშინ, როცა თბილისის ბაზარზე ხორცი ღირდა 70—80 კ., დაკვრითი წესით შესდგა სპეციალური კომისია ხორცის სახელმწიფო ვაჭრობის მოსაწყობად. შეკრებილ იქნა თანხა 300 ათას მანეთამდე, იყო პროექტი ამ საქმის ფართე ნიადაგზე დაყენების შესახებ.

მაგრამ შემდეგ, როცა დაშინებულმა მეხორცეებმა ფასი დაუკლეს ხორცს და დღეს ყიდიან 25—30 კ., ამ საქმეს მიანებეს თავი.

ეს დაუშვებელია ჩვენ სავსებით ვიმყოფებით ამ მხრით კერძო ვაჭრების ხელში. ხვალ რომ შესწყდეს საქონლის დაკვლა თბილისში, ჩვენ ჩავვარდებით სრულიად უმწეო მდგომარეობაში.

ამიტომ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. მისი მივიწყება შეუძლებელია.

ბაზარმა რომ დაიწყოს თამაში, რომ შეიტანოს არსებული მდგომარეობა ბაზარზე, ეს იქნება კატასტროფა ჩვენი ახალი ფულის.

საჭიროა დიდი ყურადღება და სიფრთხილე.

ნაცნობი.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲒᲔᲚᲘ

მე-XIX საუკუნე მთელს ევროპაში ხასიათდება ბურჟუაზიული წყობილების განვითარებით და ძველი, ფეოდალური ურთიერთობის ნგრევით. ცხადია, ბურჟუაზიულ საზოგადოების ჩასახვისთანავე, მისი პირმშო შვილი, პროლეტარიატიც ჩაისახა და წარმოების ზრდასა და განვითარებასთან ერთად, ისიც გაიზარდა და გაძლიერდა. იმ თავითვე წარმოიშვა წინააღმდეგობა ამ ორ ახალ კლასებს შორის. დაიწყო ბრძოლა.

რა თქმა უნდა, პირველ ხანებში, სანამ პროლეტარიატი ჩამოყალიბდებოდა და შეკავშირდებოდა, როგორც განსაზღვრული სახის მატარებელი კლასი, ეს წინააღმდეგობაც სუსტი იყო, შედარებით, და ბრძოლაც ვიწრო ფარგლებში სწარმოებდა.

ის უმთავრესად სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის და ხელფასის აწევისათვის იბრძოდა. ის არ იყო დარაზმული ფოლადისებურ რიგებათ, როგორც დღეს არის.

დიქსაქსული, შეუგნებელი იყო მუშების უმრავლესობა, მაგრამ მათი ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა პირუტყვული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, შეუწყვეტელად სწარმოებდა ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფათ.

ამ ნიადაგზე ხშირი იყო, შეტაკება-შეჯახება შრომასა და კაპიტალს შორის. ახლად წამოყოყოჩებული ბურჟუაზია, მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა მუშა ხალხის ასეთ გამოსვლებს, ამ შეჯახებებს, რადგან მისი აზრით ბურჟუაზიული სამყარო „მუდმივი“ ფორმა იყო ადამიანთა ურთიერთობის, რომელიც უაღრეს შესაძლებელ კანონიერებას და სამართალს აწესებდა ცოდვილ მიწაზე. მაგრამ ვაჭრობა მრეწველობის, წარმოების განვითარებასთან ერთად, მწარმოებლებს და მუშებს შორის წინააღმდეგობა იზრდებოდა თუ წინათ მუშები თითო-ოროლა გამოდიოდენ, ახლა უკვე ჯგუფ-ჯგუფად, მთელი ქარხანა ერთხმად, ერთ პირად გამოდის მწარმოებლების წინააააღმდეგ.

წინააღმდეგობა კლასებს შორის კიდევ ფართე, კიდევ მწვავე ხასიათს იღებს.

ეს ნდგომარეობა აწუხებს ბევრს.

იბადება აზრი, სურვილი ამ წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ.

ჩნდება მთელი მიმართულება ე. წ. უტოპიური, რომელიც სცდილობს სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა გზით შეასუსტოს წინააღმდეგობა, ბრძოლა დამქირავებელთა და დაქირავებულ შორის. კითხულობენ მგლის თავზე სახარებას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, აქედან არაფერი გამოდის. მგელი რის მგელია თუ ტყისაკენ არ იცქირება. კაპიტალისტი რა მწარმოებელია, თუ ექსპლოატაციას არ ეწევა, თუ სისხლს არ სწოვს მუშებს. სახარების კითხვით მასთან რას გახდები.?!

ამ უბრალო ჭეშმარიტებაში ვერ გარკვეულიყვნენ მაშინდელი უტოპისტები. ისინი სცდილობდენ ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებშივე მოესპოთ წინააღმდეგობა დაქირავებულთა და კაპიტალისტებს შორის.

ბურჟუაზიული კანონიერების და სამართლის გარეშე არ ჰქონდა, ბევრ მაზოგანს, წარმოდგენილი ქვეყნის არსებობა და აი სწორედ ამ დროს ბრძოლის ასპარეზზე გამოდის დიდი მასწავლებელი, პროლეტარიატის პირველი ბელადი კარლ მარქსი.

1818 წელს, მაისში დაიბადა უდიდესი ადამიანი და დიდი მეცნიერი, კარლ მარქსი.

მის ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად, ბოლო ეღება იმ იდეოლოგიურ დომხალს, რომელიც უტოპისტების მიერ იყო ახოხოლებული.

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი შეუბრალებლად ანგრევენ იმ ციხე კოშკებს, რომელიც უტოპისტების გაცხოველებულმა ფანტაზიამ შექმნა. შიშველი ჭეშმარიტება გამოთრეულ იქნა მზის სინათლეზე. ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა კლასიურ მტრების წინააღმდეგ და არა შერიგება, არა თანამშრომლობა მათთან, აი რა დააწერა კარლ-მარქსმა მის მიერ აფრიალებულ წითელ დროშაზე და ამ დროშისკენ იწვევდა მთელი ქვეყნის პროლეტარებს. კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლით, ბოლო ეღება გაურკვეველ და ბუნდოვან წარმოდგენას პროლეტარიატის ბრძოლის მიზნებზე.

მატერიალისტური საზომით გაუსინჯა ძირი არსებულ წყობილებას კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა და აღმოაჩინეს, ის რაც თითქოს უბრალო ჭეშმარიტება იყო.

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება დროებითი მოვლენა არის. ამავე საზოგადოების საშოში ჩასახული და განვითარებული პროლეტარიატი შესცვლის ამ წყობილებას ახალით, სოციალისტურით, სადაც არ იქნება ბატონი და ყმა, სადაც არ იქნება პროლეტარი და ბურჟუა.

მაგრამ პროლეტარიატს ბურჟუაზია ნებაყოფლობით არას დაანებებს.

მას ბრძოლით, დესპოტიური ჩარევით მოუხდება გარდაქმნა ქვეყნიერების ახალ საფუძვლებზე და ამიტომ მოუწოდებდა კარლ მარქსის მჭექარე ხმა: **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით“**-ო.

კარლ მარქსმა, უჩვენა რა გარკვეული მიზანი პროლეტარიატს, ბრძოლისაკენ მოუწოდა მას, რადგან **„პროლეტარიატი ბრძოლაში არას კარგავს გარდა თავისი ბორკილებისა, ხოლო მოიპოვებს კი მთელს მსოფლიოს“**.

დღეს ერთ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც კარლ მარქსი დაიბადა.

მთელს დედამიწაზე პროლეტარიატი უკვე დარაზმულ და შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს, ძალას, რომელიც მარქსისტული დროშის ქვეშ არის დაგროვილი.

მთელი მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე, მუშათა კლასმა უკვე მოიპოვა ძალა-უფლება და შეუდგა ახალი საზოგადოების შენებას.

კარლ მარქსს, მისი სიკვდილის შემდეგ, გამოუჩნდა გენიალური მოწაფე, რომელმაც თავს იდვა განხორციელება მასწავლებლის მიერ დატოვებულ ანდერძისა.

ლენინმა, გადაიტანა რა მარქსიზმი პრაქტიკაზე, განავითარა და გააფართოვა ეს მოძღვრება და გადაუშალა პროლეტარიატს სახელმძღვანელო წიგნად.

აღარ არის შორს ის დრო, როდესაც პროლეტარიატი მთელს მსოფლიოში დაასამარებს ბურჟუაზიულ წყობილებას და მის საფლავზე აღმართავს ახალ დროშას მარქსისა და ლენინისა.

ეს მოხდება ჩქარა, ძლიერ ჩქარა, მიუხედავათ იმისა, რომ ცრუ სოციალისტები, ჩაებღაუჭენ რა მარქსიზმის დროშას, აყალბებენ მას და დღემდის თვალს უხვევენ პროლეტართა ლაშქრის საგრძნობ ნაწილს.

მაგრამ ჩქარა ბრძოლის ყიჟინა: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გამოაფხიზლებს იმათაც, ვინც დასცილდა მარქსის გზას და საერთო მუშათა ფერხულში ჩაბაძს.

X.

ᲝᲠᲘ ᲤᲠᲐᲒᲜᲔᲜᲢᲘ

1.

შავ ღრუბლების ქედები აეფარენ ცის სანთელს
ღვიძეები გზავნიდენ საშინელ კორიანტელს,
და დამუნჯდა გაბერვით, მოსწყდა მიწა ხარის რქებს.
ურანია პლანეტებს ცაზე იქ-აქ არიგებს.
წელ გაწყვეტილ გველსავით გაეკლაკნა ცას ელვა,
მეხი მეხზე გავარდა და დაიწყო ზღვამ ღელვა.
ქარიშხალი გრიალებს... ამტვრევს ბჭეებს და კარებს.
იწვის სასახლეები და მსოფლიო ზანზარებს.
ძირს ეცემა კერპები—მატყუარა ღმერთები
და ჰქრებიან ზეცაში ცდომილი კომეტები.

2.

მილიონი გულები... მილიონი მკლავები...
დაგუბება სტიქიის და ჩუმი საფლავები...

სასაფლაოს ამშვენებს სისხლის ფერი ალამი
და ჰყრის ცეცხლის ნაპერწკლებს თვალი ცრემლით ნანამი
მიწის ბიძგი ხელში აქვს—დაჭიმულა კუნთები
და მარწუხმა—თითებმა დაამტვრია ხუნდები.
დღეს იგია მეუფე, მომავალის იმედი
და იგია ძველ ქვეყნის დამხობი არქიმედი.

გაროლდი.

ოქტომგრის რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია.

II

როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერიალისტურ ომს შედეგათ და ლოღიკურ დასკვნათ უნდა მოჰყოლოდა აბსოლიუტიზმის დამარცხება და მართლაც, 1917 წ. თებერვლის ბოლო რიცხვებში ნიკოლოზის ბიუროკრატიული ტახტი დაიმსხვრა და ისტორიის უფსკრულში გადაიჩეხა.

რა მოხდა შემდეგ?

1917 წლ. თებერვლის რევოლიუციამ მალამო, ან რაიმე წყლული დაადო მუშების და გლეხების მრავალწლის განმავლობაში დაჩირქებულ მუწუკს?

არა, და არა...

თებერვლის რევოლიუცია პროლოგი იყო. მეტათ ხანმოკლე გამოდგა ეს დრო, მხოლოდ რვა თვე, რაც მონარქიულ წესწყობილებიდან მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამდე გავიდა, მაგრამ, მიუხედავათ ამ ძლიერ მოკლე ხნისა, მზის შუქივით გამობრწყინდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფალსიფიკაცია და მატყუარობა.

და რუსული ანდაზისარ იყოს „Нет худа без добра," აი ამ ცუდ, მშრომელი მასისთვის უარყოფითი მოვლენამ ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ, ამ სფეროში მთელი რვა თვის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გააკეთა ხსენებულ მშრომელი მასების გამოფხიზლების დარგში და განსაკუთრებული, ან სწორეთ რომ ვსთქვათ, გარკვეული დიფერენციაცია მოახდინა ბუმბერაზ რუსეთის საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში.

რომ ნათლად, აშკარათ დაენახა და დარწმუნებულიყო მუშათა კლასი იმ აქსიომაში, რაც კარლ-მაქსმა სთქვა ერთ თავის ნაწარმოებში:— „უნდა შეიქმნასისეთი პირობები, რომ კომუნისტურმა მუშათა კლასმა შესძლოს ფიქრი თავის ძალა-უფლების განმტკიცებაზე, რათა მან დაამსხვრიოს მონობის ის სისტემა, რომელიც ძალაუნებურათ აყენებს მას ბურჟუაზიის უღლის ქვეშ," აი ამ დებულების გასამართლებლათ ზემოხსენებული ბურჟუაზიული დემოკრატიის ხანმოკლე ბატონობა აუცილებელი იყო.

ამ მხრივაც, რუსეთის რევოლიუციამ დაამტკიცა თავისებურება, რაც რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში წითელი ზოლივით უნდა იყოს აღბეჭდილი.

მაშასადამე, აქ კითხვები იბადება: კომუნისტურ პარტიის მოწოდება მუშათა კლასისადმი გამოფხიზლებისაკენ და ბურჟ. დემოკრ. ბატონობის მოსპობისკენ იყო დროული და მოფიქრებული თუ არა?

მარქსისტული თვალსაზრისით კომუნისტურ პარტიის ეს მოქმედება რაციონალური იყო თუ არა?

პროლეტარიატს, რუსეთში ბურჟუაზიულ-რევოლიუციის მეთაურობა შეეძლო თუ არა?

წამოყენებულ კითხვებზე პასუხს გავაცემინებთ საქართველოს მენშევიზმის მამა-მთავარს ნოე ჟორდანიას, რომელმაც დაჰგმო ის ხაზი, ის გზა, რასაც ამ რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში ჰღაღადებდა თავის მრავალ ნაწერებში.

ნ. ჟორდანია, რომელიც 1917 წ. კოალიციონური თანამშრომლობის ერთი მეთაურთაგანი იყო, ჯერ კიდევ თებერვლის რევოლიუციის რამდენიმე წლიო ადრე პირდაპირ ხაზგასმით მიუთითებდა: **„პროლეტარიატი უმეთაურებს არა ბურჟუაზიულ რევოლიუციას, არამედ პროლეტარულს. ბურჟუაზიული რევოლიუციის პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელობა შეუძლებელია. ვერც ერთი კლასი ვერ გადაუხვევს თავის ისტორიულ გზას, ვერ შესდგება სხვის გზაზე, რა გინდ ეს მას უჩიჩინონ და აგონონ.**

ბურჟუაზიული რევოლიუციის პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელობა ვერ მართლდება ვერც მარქსისტული თეორიით და ვერც ისტორიული ფაქტებით". *)

ასე, ოდესღაც საქართველოს მუშათა კლასის მეთაურ ნ. ჟორდანიას დაავიწყდა თავისი ადრინდელი სიტყვები, ნაწერები და 1917 წლიდან უკვე ფაქტიურად გადაბინავდა კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფში, სადაც დღევანდლამდე იმყოფება და დაიწყო მილიუკოვ—ტერეშჩენკო—ჩერნოვების შექმნილ კოალიციის გამართლება ვითომდა "პროლეტარიატის სასარგებლოთ" (sic?!!)...

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, რუსეთის სინამდვილეში, რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურმა შეგნებამ, მოსალოდნელი უბედურებანი და სიურპრიზები წინასწარ გაითვალისწინა. ის დარწმუნებული იყო იმაში თუ რას უმზადებდა მას „სოციალისტური" კოალიცია, და ამიტომ 25 ოქტომბრით ყოველგვარ გაუგებრობას და ორპოფულ პოლიტიკას ლიკვიდაცია უყო.

ამგვარათ, წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა მუშებმა და გლეხებმა შესცვალეს პროლეტარულ დემოკრატიის დიქტატურით.

რასაკვირველია, ეს გამარჯვება ყველას ერთნაირათ არ ახარებდა და ამიტომაც, რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი გახრწნილი ინტელიგენციაც, აშკარათ გამოეთიშა ამ საერთო ფერხულს და დისონანსი შეიტანა პროლეტარულ ძუშაობაში.

დისონანსის შემტან კომპანიაში მოექცა, აგრეთვე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიაც, რომელიც აშკარათ კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადაბარგდა. მისი წყალობით ამიერ-კავკასია იზოლიაციაში მოყვა დიდი ოქტომბრის რევოლ იუციის გავლენისაგან.

III.

მაშასადამე, როგორც ვსთქვით, საქართველოს სოც.-დემოკრატიის მენშევიკური ფრთა, მთელი თავისი ავლა-დიდებით კონტრ რევოლიუციის ბანაკში გადაბარგა.

მან, დააშორა საქართველო რუსეთს, რომელთანაც ეკონომიურათ და კულტურულათ იყო გადაჯაჭვულ-გადახლართული.

მისივე წყალობით, ჯერ ამიერ-კავკასია და შემდეგ კი საქართველო შორს იქნა დაყენებული ოქტომბრის რევოლიუციის გავლენისაგან.

რათ მოხდა ასე ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ?

1917 წლ. თებერვლიდან, 1918 წლის მაისის 26-ამდე, მეტათ პატარა დრომ განვლო. მაგრამ ამ დროს განმავლობაში დიდი ამბები მოხდა, არ შეიძლება არ შეეჩერდეთ ამ მოკლე ხნის ისტორიაზე. უნდა გავიხსენოთ ჩვენი მენშევიკების მოღვაწეობა-საქმიანობა.

თავიდგან ჩვენში გაიღვიძა რევოლიუციონურმა სულმა. შეუდექით კიდეც რევოლიუციონურ მუშაობას და სოციალისტურ ნიადაგზე ცხოვრების მოწესრიგებას. დავაარსეთ მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა საბჭოები და მრავალგვარი საქმიანი დადგენილებებიც კი გამოვიტანეთ. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს დადგენილებებს ჰქონდა სოციალისტური ხასიათი, მის ცხოვრებაში გატარებას ვერ ვახერხებდით და ხალხი დაბეჩავებული, დაჩაგრული ხალხი,ისევ ძველებურათ გმინავდა ძმიმე უღლის ქვეშ. ის, ისევე იტანჯებოდა, როგორც ნიკოლოზის დროს. „მართლ-მორწმუნე" „სოციალისტები" სიტყვით ერთს ვამბობდით, საქმეს სხვას ვაკეთებდით. ურმის თვლები წინკი არ მიგორავდენ, უკან, რადგან კრილოვის არაკის არ იყოს: ერთი ცისკენ იწევდა, მეორე უკან, მესამე კი მდინარისკენ იქაჩებოდა.

აშკარაა, ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. საბჭოები გადაიქცენ უმიზნო დაწესებულებათ და თანდათანობით მოისპენ.

და ამრიგათ რევოლიუციონური კავშირი, როგორც მუშებთან, ისე გლეხობასთან გაწყვეტილი იქნა.

ამას ზედ დაერთო ეროვნული შუღლის გაჩაღება ამიერ-კავკასიაში. მოხდა სრული არევ-დარევა.

ასეთი მდგომარეობა თანდათანობით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა და ქვეყანას ჩქარის ტემპით დაღუპვისაკენ მიაქანებდა.

აი სწორეთ, ამ არევ-დარევის ხანაში, ამ ქარ-ცეცხლის და აზვირთებულ ატმოსფერაში, საქართველოს მშრომელი მასსა, სოციალისტ მენშევიკების (sic?!) წყალობით, 1918 წ. 26 მაისს მოსწყდა რუსეთის პროლეტარიატს, გასწყვიტა მასთან ძმური კავშირი, გაეხვია ნაციონალიზმის ქურქში, მოიკალათა თავის კვერცხის ნაჭუჭში და რაც უფრო სამარცხვინო იყო, სასახლეზე აფრიალებული წითელი დროშა, თვალცრემლიან მუშების წინაშე, ჩამოფხრიწეს და მის ნაცვლად ააფრიალეს შოვინიზმის ემბლემა, სამფეროვანი დროშა.

ივ. დავთიანი.

*) „რჩეული ნაწერები"—ნ. ჟორდანია.

საყოფა-ცხოვრებო საკითხებისთვის.

ახალი ქვეყნის მიჯნაზე ვდგევართ. ძველი ქვეყანა ბარდება ისტორიას, ახალი იბარებს ისტორიას. ეს ჩაბარება და მიღება ხდება დიდი ტკივილებითა და ღრმა ტანჯვით; ჯერ კიდევ შორსაა აღთქმის ნაპირი, მაგრამ ყველა გზებს იქითკენ მივყევართ. ამ გზებზე სიარულს აძლევებს ის, რაც ასეული და ათასი წლობით შეგვისისხლხორცებია, ძვალ-რბილში გამჯდარა, რაც ჩვენდა უნებლიეთ ცოცხლობს ჩვენში ხელის ჩამორთმევიდან დაწყებული იდეისათვის სახრჩობელაზე ასვლამდე და რა-

საც ჩვენ ვუწოდებთ ყოფა-ცხოვრებას. ახალი ქვეყნის განმტკიცებაში მას დიადი მნიშვნელობა აქვს. რევოლიუცია იბრძვის არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ ან სოციალურ ფრონტზე, რევოლიუცია იბრძვის იდეოლოგიურ ფრონტზე, ყოფა-ცხოვრების სფეროში კი ფსიქოლოგიურ ხაზზე.

მარქსი ამბობდა: ძველს მომაკვდავს ქვეყანას, რომელიც ისტორიას უნდა ჩაბარდეს, თან უნდა სდევდეს წყევა-კრულვა და საერთო სიძულვილიო. ცხადია, მარქსი ფსიქოლოგიურ მხარეს დიდს ყურადღებას აქცევდა. ფსიქოლოგია ბარომეტრია საზოგადოებრივი ძალების და მათი ჰიდილის ან გამძაფრების ან დასუსტებისა, ან მომზადების ან შეუგნებლობისა. აღსანიშნავია ის, რომ ეკონომიური ურთიერთობანი თუმცა ქმნიან სულისკვეთებას, ფსიქოლოგიას, მაგრამ ეკონომიკა წინ უძღვის, უსწრებს **შესაფერს, მასთან დაკავშირებულს** ფსიქოლოგიას. ყოფა-ცხოვრებითი ვითარება უაღრესათ ინერციულია, კონსერვატორული, ესე იგი სძულს ყოველივე ახალი, ან დიდის ბრძოლის შემდეგ მიიღებს ახალს, შეეგუება მას. მაგალითად ინგლისში და გერმანეთში მუშები მანქანებს ამსხვრევდენ და მდინარეში ყრიდენ, ხოლო შემდეგ ამ მანქანებმა ასწავლეს მათ ბრძოლა განთავისუფლებისათვის და გზებიც ამ ბრძოლისათვის. სოციალისტური საზოგადოება ამ სფეროში, ესე იგი ყოფა-ცხოვრების სფეროში, თუ რამეს გააკეთებს, უპირველეს ყოვლისა გააკეთებს ქალებისათვის, გათავისუფლებს მათ სამზარეულოს ბრჭყალებიდან, ადამიანობას დაუბრუნებს მათ. ახლა ჰკითხეთ ერთი ბურჟუაზიული საზოგადოების ქალს ამოგვიდგება გვერდში მისივე განთავისუფლების საქმეში?—არა! რატომ? იმიტომ რომ მის ტიტველს მხრებს, მართალია, არაფერი არა ფარავს, მაგრამ ათასი წელთა ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრების ტრადიციები აწევს და ეს არ აძლევს ნებას არამც თუ ბრძოლისას, არამედ აზროვნებისასაც კი...

ბევრი დაწერილა ამ საკითხზე, ბევრია სიტყვების რახა-რუხი, ალბათ კიდევ მეტი დაიწერება, კიდევ მეტი იქნება ის, რასაც რუსულათ ეტყვიან Словоблудие-ს. ბურჟუაზიულათ მოაზროვნენი ნიშნის მოგებით მიგვითითებენ ამაზე, არც ჩვენ ვმალავთ ამას. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენთვის საყოფათ-ცხოვრებო საკითხები მტკივანი ადგილია; ვიცით, რომ თუ ამ ხაზზე ვერ გავიმარჯვეთ ძნელი იქნება სვლა იმ გზებით, რომელთაც მივყევართ ისტორიული აუცილებლობისაკენ სოციალიზმისაკენ. ძნელი იქნება და არა შეუძლებელი ვინაიდან ძველი ყოფა ცხოვრება ირყევა, ინგრევა, ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც უთმობს ადგილს ახალის ყოფას, ახალის ფსიქოლოგიას.

ყოველ ეკონომიურს წყობილებას თავისი ყოფა აქვს, თავისი ფსიქოლოგია, თავი ზნეობა. იცვლება ეკონომიური წყობილება და იცვლება მისი ყოფაც მისი ფსიქოლოგიაც, თუმცა უფრო გვიან. რაინდულ ხანაში მიჯნური ველათ გაიჭრებოდა, „რომ საყვარელსა უჩვენოს საქმენი საგმირონია.“ მთელს წლეებს ანდომებდა რაინდი ერთი ქალის კაპრიზის შესრულებას. დღეს კი რომ ვაჟი ველათ გაიჭრას, ხორცშესხმული სისულელე უნდა იყოს ქალი რომ მას გაუმიჯნურდეს. მუშისათვის ეს სრულიათ წარმოუდგენელია. სად დაზგა, სად მანქანის ტრიალი და სად ველათ გაჭრა. ბურჟუაზიული ყოფა და ფსიქოლოგია აგებულია კერძო საკუთრების ნიადაგზე. აქ მთავარი საზრუნავი საგანია შეძენა, კერძო გამდიდრება. რაინდის ცხენზე შეჯდომას ვერც კი შეზედავს ღიპიანი ბურჟუა. მისი ცხენი მისი ბანკი ან ამგვარი დაწესებულებაა, მისი ფარ-ხმალი მისი ჩეკები და აქციებია. რაინდი სიტყვას მისცემდა და ან მოკვდებოდა ან აასრულებდა, ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ სხვა ყოფა იცის, სხვა ფსიქოლოგია. ტფილისის სოლოლაკში ის შემდეგ სიტყვებში გამოხატა:

კტო ნა სვეტე ჩესტნი ბუდით,
ბუდით ნასიტ ხლება გუდით...

ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება გაჟღენთილია ამ „ჩესტნობის“ დაცინვით. მაგრამ ნუ გგონიათ ამას ის აშკარათ აღვიარებდენ. მას ორმაგი ბუჰღალტერია აქვს ამ „ჩესტნობის“ საკითხში, ორმაგი მორალი აქვს, ერთი თავისთვის, მეორე სხვისთვის. ის რაც მისთვის სასარგებლოა, რაც მას სიმდიდრეს მატებს, ზნეობრივია. ზნეობრივია, მაგალითად, მცირეწლოვან ბავშვთა მუშაობა ღამით ქარხანაში, უზნეოა თუ ამ ბავშვთა მშობლებმა მოსთხოვეს ქირის მომატება. ზნეობრივია მუშის ცოლი ან ქალი შეიტყუოს კაბინეთში, დაათროს და გააუპატიუროს, შემდეგ ხელი ჰკრას და ქუჩაში გააგდოს. ზნეობრივია ქუჩაზე ყასაბივით დადგეს ღამით და ლამაზხორციანი ქალი აარჩიოს, იყიდოს, შემდეგ სახლში დაბრუნდეს და ცოლს ანგარიში მოსთხოვოს: სად იყავი, ვისთან იყავიო და სხვა. ზნეობრივია რვა-ცხრა-ათი წლიანი გოგოებით ვაჭრობა, ამ ვაჭრობაში მას მისივე შექმნილი სახელმწიფო აპარატი ეხმარება. პოლიცია ასეთს მოვაჭრეებს ეხმარება, ფულს იღებს მათგან.

ასეა ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ბუენოს—აირესში, კონსტანტინეპოლში, ვენაში. ზნეობას ბურჟუაზია ასაღებს როგორც ღვთისაგან დაწესებულს სამარადისო კანონს, მღვდლები, ბერები, მონაზნები, ეპისკოპოსები ქადაგობენ ამას. სად, როდის ან რომელმა ღმერთმა დააწესა ეს? თუ რომელიმე მხარე ყოფა-ცხოვრებისა „ზნეობრივია“ ის თანაბრათ უნდა იყოს სავალდებულო როგორც ბურჟუასათვის ისე არა ბურჟუასათვის, თუ „უზნეოა“ თანაბრათ მიუღებელი ყველასათვის. ქალებით ვაჭრობას ბურჟუაზიული საზოგადოება უწყობს ხელს. მართალია ეს მოვლენა გვხვდება ისტორიის სივრცე-სიგანეზე, მაგრამ როგორც ხელობა, როგორც პროფესია ის განმტკიცდა მხოლოთ კერძო საკუთრების ნიადაგზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალებით ვაჭრობა-პროსტიტუციას ორი რამ ახასიათებს: ერთი-პროსტიტუციის კონტიგენტს შეადგენს პროლეტარიატიდან გამოსული ქალი, ეს ქუჩაში გადის აშკარათ, მეორე-პროს-

„ბოდიში.“

საქმეთ გარეშე მინისტრი ბერლინში შტრეზემანია.
(წითელმა ფერმა „შეჰყარა ავათმყოფობა მანია).
მთავრობის მეტი წევრები მილერანისა ძმანია.
და პუანკარეს მიუძღვნეს რური და მთლად გერმანია.

„სოციალისტი“ ებერტი მთავრობის თავმჯდომარეა.
(და უფრო სწორათ რომა ვსთქვათ: მუშების თავსმჯდომარეა).
ხშირად იცვლება მთავრობა—ცრემლი სდის ებერტს ცხარეა.
საგონებელში ვარდება-ხედავს არ ცხრება მხარეა.

არავინ ჰკითხავს მთავრობას-უჯარო გენერალია.
და შიშის გამო საბრალოს დაბრმავებია თვალია.
ბურჟუაზია ფაშიზმით და მოლტკეთ დაუმცხრალია.
ქარხნებში წითელ დროშების აღმართვა და ფრიალია.

საქმე კარგი საგმირონი კაცმა უნდა ჰქნა ჩუმადა.
ხელი არვინ შეუშალოს არ-ვინ ჰკვეცოს მისი მადა.
იქ-აქ გაძვრეს და გამოძვრეს-გაუგრძელდეს დიდ ხანს ვადა.
ჰფიქრობს: საქმე გასწორდება, თუ ბოდიში მოიხადა.

—და ბოდიშს იხდის მინისტრი — უძვალო არის ხომ ენა?
მაცხოვრის მცნება მთავრობამ მხოლოდ აქ გამოიყენა:
„მარცხენა ხელმა არ იცის თუ რასა შვრება მარჯვენა
„ცუდი განზრახვა, როგორც თქვენ არ გვქონებია არც ჩვენა.

„ვერსალის ზავის ბრალია, რომ ხალხი გადაგვერია.
„არავის ესმის მთავრობის... თავხედობს ჟანდარმერია.
„კაპიტალს უყვარს მუსოლინ... აფრთხობს წითელი ფერია.
„სამშობლო არეულია, ვითარცა მონასტერია!!

დღეს არა, ხვალე მოკვდება, ქარხანა ასე მქნელია.
თავს ვერ გაიტანს ცოცხლადა ყოველთვის წუწკი მელია.
წყალწაღებულსა ვერ იხსნის ხავსს რომ მოჰკიდოს ხელია.
სარივით დგანა მთავრობა ლაშქარი შემოელია.

მენგო.

ტიტუციას ეწევა ბურჟუაზიული წრის ქალი, ეს ოთახში იმალება, იქ მეძავეობს; ქმარი რომ წინა კარებში შემოდის მისი მოადგილე უკანა კარებში გადის. აქ დრამატიული ბევრია, მაგრამ კომიკურიც არის. დრამატიული ქალის გაყოფაშია, კომიკური იმ მალულობიაში, იმ თამაშობიაში, რომელსაც ოჯახს ეძახიან. ეს სამთა ქორწინებაა, ეს ღვთის მიერ დაარსებული ოჯახი. ხანდახან ბურჟუაზიული ქმარი ირქინება თუ სამთა ქორწილი გამოაშკარავდა, ხოლო ნუ ფიქრობთ რომ ის ირქინება იმიტომ, რომ ქალმა რქები დაადგა! არა! ის ირქინება მა'შინ, როცა მეზობელი შეიტყობს... ფუ, ესეც ღმერთმა დაიწესა, ასეთი მორალი?

სულ სხვაა მუშის ყოფა, პროლეტარიატის მორალი. ჩვენ არ ვიტყვით რომ აქ არა აქვს ადგილი სამთა ქორწინებას. მაგრამ აქ არ არის ქალის ხორცით ვაჭრობა. მისმა ყოფა-ცხოვრებამ არ იცის ქუჩებში ღამით ხეტიალი ქალის საყიდავათ. დილის საყვარი ქარხანაში მას არ აძლევს ამის საშუალებას. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იდეალიზაციიდან. ჩვენ ვიცით, რომ დიდს ქალაქებში გვხვდება პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრებაშიაც ეს მხარე ყოფა-ცხოვრებისა, მაგრამ ჩვენ ვამბობთ მოვლენის საერთო ტენდენციაზე, ხასიათზე და ამ მხრივ აქ მდგომარეობა სხვაა. გარდა ამისა ამ მოვლენის მთავარ ბაზას, საფუძველს, კერძო საკუთრებას აქ არა აქვს გადამჭრელი მნიშვნელობის ადგილი. ქალი არ არის აქ მზითევის მოარული დამატება. ის თანასწორია მუშა ქმართან, მისივე ფსიქოლოგიის მატარებელია, იმგვარივე მებრძოლი თავის ბედისა და თუ ვინმეს გული გაუხსნა ეს არ ამცირებს მას, ვინაიდან ფული კი არ იწვევს საქციელს, არამედ გრძნობა...

ჩვენ განგებ გავაერთიანეთ ეს სამი საკითხი: ზნეობა, ოჯახი, პროსტიტუცია. და ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზიული ოჯახი პროსტიტუციის ბუდეა, ხოლო ეს ოჯახი ბურჟუაზიას უაღრესი ზნეობის გამომხატველათ მოაქვს. ვაი იმ საზოგადოებას, რომელსაც ასეთი ფუძე და ზნეობა აქვს. ძველი ოჯახი უკვე დაშლილია იმდენათ, რამდენათ მას ჩამოაცალა ცხოვრების განვითარებამ „ქორწინების საიდუმლოების“ ნიღაბი, ხოლო რევოლიუციამ დაანახვა ყველას მისი კვაზიმოდობა, მისი საშინელი სიმახინჯე. მაგრამ ის კიდევ ცოცხალია, ის კიდევ ბევრს ხანს იქნება ცოცხალი. ცოცხალი ლეშია, მაგრამ კიდევ საშიშარი. განსაკუთრებით ჩვენში საქართველოში ის ბევრს ხანს იცოცხლებს კიდევ მისი ყოფა-ცხოვრებითი მხარეებით. მას დაანგრევს მხოლოთ ქარხნის საყვარი ეს კი გრძელი მ.ნქანური რევოლიუციის საქმეა. მხოლოთ არის ერთი მხარე, სადაც სუსტია ბურჟუაზიული იდეოლოგია; აი აქეთკენ უნდა დავანგრიოთ ძველი ოჯახი, რომელიც სამშობიარო მანქანათ ხდის ქალს და აფუჭებს რყვნის ბავშვს. ეს არის სქესობრივი საკითხი. ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა ამ მხარეს იდეალისტურს ბურუსში ხვევს. რელიგიაზე ეყრდნობა ეს მსოფლმხედველობა და ამბობს: აქ დიდი ღვთაებრივი საიდუმლოება არისო.. სული, უკვდავი და სამარადისო, ძალა ზეციური და უხილავი, კავშირი იდუმალი და მიუწდომელი— აუხსნელი იღვიძებს ქალ-ვაჟში, ისინი ნახევრები არიან, ზეძალა მათ შეყრის და ქმნის ერთს მთლიანს ერთეულს, ეს მთლიანი ჰარმონია კი ქმნის ღვთაებრიობას, სულიერ-იდუმალ ცეცხლს, ეს სიყვარულიაო.

რა აბდა-უბდაა, რა სისულელეა!

ორგანიზმი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე განსაზღვრულ სულისკვეთებას ქმნის. ორგანიზმი მწიფდება, მასში გროვდება ენერგია, ის მოითხოვს გამოსავალს, ჩნდება სქესობრივი ლტოლვა, იბადება სიყვარული. მორჩა და გათავდა. რა შუაშია აქ სული, უკვდავება, ზეცა, ღმერთი, იდუმალობა? იმ შუაშია, რომ იდეალისტურ ფილოსოფიას სურს გაეჩიროს ძველი ყოფა-ცხოვრებისა და ახალი ყოფა-ცხოვრების შუაში. ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რევოლიუცია ამას გვიკარნახებს: ახალმა ყოფა-ცხორებამ რომ ძველი დაამარცხოს, საჭიროა „საიდუმლოებათა“ სისულელის გამომზეურება. მზეზე შავი „საიდუმლოება“ გაწითლდება. და მოკვდება საშინელი კონსერვატიული ძალა-ძველი უთანასწორობისა და პიროვნების გათელვაზე აგებული ოჯახი მთელი თავი „უკვდავებით“.

და ძველი ქვეყნის მიჯნიდან ახალზე რომ გადავდივართ საჭიროა ახალში ახალი სულისკვეთებითა და ყოფით შესვლა. საზოგადოებრივი განვითარების ტენდენცია არამცთუ ეკონომიურათ, არამეთ ფსიქოლოგიურათ უკვე მიმართულია სოციალიზმისაკენ. ჩვენი, რევოლიუციონერების ენერგია უნდა მიმართული იქნეს პირადი მაგალითებით და ბრძოლით ახალი ყოფა-ცხვვრების შექმნისა და განმტკიცებისაკენ. საშინელს ტანჯვაში იბადება ახალი ყოფა-ცხოვრება—და ჩვენი მოვალეობაა შეეუმსუბუქოთ მას ნშობიარობის ტკივილები...

რ. ჭორქია.

„ფანტაზია“

„სოციალისტი“, „დემოკრატი“ და პრემიერი.
მერე „ჰერცოგი“, სისხლის მსმელი, როგორც ტიერი.
დღეს ძველი „რომის მოქალაქე“-ს მისცეს ტიტული,
რადგან გადასჭრა კაპიტალის საკითხი რთული.

ის „წითელ საფრთხეს“ უმკლავდება სალი-კლდე მკერდით,
და სცდილობს „რომის იმპერია“, რომ აღსდგეს მკვდრეთით.
ღამით ძილს უფრთხობს მას ნერონი და გარიბალდი;
(ცხადში აწუხებს პუანკარე და მაკდონალდი ..
ორი პატარა მეგობრები იპოვნა ეხლა
გამოიყენებს—თუ მოუხდა დიდებთან შეხლა).
იცის კაპიტალს საფლავში აქვს ჩადგმული ფეხი
და მალე რისხვით გაეარდება ქუხილით მეხი—
—ამიტომ ბორბალს ისტორიის უკან აბრუნებს.
(მაინც წაართმეევს მატიანეს ხუთ საუკუნეს)

ბრძანებს: ზეიმი ოცდაერთში (დაარსდა რომი).
კარნავალები. მონა. ცირკი და ჰიპოდრომი
„მუსოლინიას“ არ შეხვდება კედლის აგება,
ისე მოუწევს მის მუსოლინს მთლად აბარგება.

მენგო

პროლეტარული სელოვნება

I

ოქტომბრის ჯანყიან დღეებში მოხეთქილმა სოციალისტურ რევოლიუციის უტეხმა ტალღებმა წალეკეს ძველი პოლიტიკური ცხოვრების უსარძიკვლო შენობები.

სიმშილის აჩრდილებში იწყო რუსეთის პროლეტარიატმა ახალი სამყაროს შენება.

„ჩვენ მუშები შევძლებთ ყოველივეს“ — ამბობს პროლეტარი მგოსანი.

ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებით და გამბედაობით არის ნათქვამი.

ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია ღაღადებს... ორთავიან არწივის სამფლობელოზე, ფოლადისებური სიმტკიცით დამკვიდრდა პროლეტარული ხელისუფლება.

ლენინის პროფილი წაუშლელათ არის მობაზული ყველა მისი მოწაფის გულზე და მშრომელთა ნებისყოფას ერთი ასათ აძლიერებს... პოლიტიკური ძალა-უფლების შენარჩუნება უზრუნველყოფილია. მოწინააღმდეგენი უძლური გამოდგენ. მათი აქტივი ძველ ოჯახს დაუბრუნდა, ხოლო დანარჩენი ისეთ ჩიხში მოემწყვდა, რომ ნობრუნება და გამოსვლა შეუძლებელია.

თითქოს ყველაფერი ჩვენს სასარგებლოთ ლაპარაკობს.

მაგრამ?..

დარჩენილია ერთი ფრონტი, რომელზედაც სასტიკი შემოტევები საწარმოებს.

კონტრ რევოლიუცია და რევოლიუცია ამ ფრონტზე ერთმანეთს ერთხელ კიდევ დაეჯახა.

ეს არის ხელოვნების ფრონტი.

მუშათა კლასს, გართულს პოლიტიკურ ბრძოლაში, ძალიან ცოტა დრო ქონდა, რომ პოეზიაზე, მუსიკაზე ეფიქრა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშათა კლასს არ აქვს თავისი კლასობრივი შეხედულება ხელოვნების ყოველგვარ დარგზე.

ქალი ჩირაღდანით

ძღვნათ შრომის ქალებს.

იყო.

ტიტველ მკერდებს ძლივს ფარავდა ფარჩა ვნებად ასაშლელათ,
ტუჩი ინით შეღებილა გიჟურ კოცნის წასაშლელად;
მონურ ვნების ხვეულებში ძუძუ ზღვეებრ ქანაობდა,
ათას წლობით დაგუბებულ ცრემლთა ზღვაში ბანაობდა.
იცინოდა ჰარამ-ხანა, უძახოდა ქალს სალხინოდ,
ცრემლი ყანწში ჩადიოდა დამათრობელ შარბათ ღვინოთ...

არის.

ორნი ხვდებიან ერთმანეთს ცხოვრების შარა-გზაზედა,
სურთ მწვერვალებზე ავიდენ ზღაპარი შექმნან მთაზედა;
ცივია ქარი ცხოვრების, ულმობელი და მწარია,
კაცში დესპოტი იღვიძებს, ქალზე ჯალათობს ქმარია.
კვდება ზღაპარი მთის თხემზე, კვდება ოცნება ვარდისა,
ქალის შუბლს დაღი აჩნია სამზარეულოს დარდისა,
ძველი კერა და აკვანი ისევ იწამოს მან განა?
როდემდის იყვენ ქალები სამშობიარო მანქანა...

იქნება.

ინგრევა ძველეთი. კვდებიან ღმერთები. ქარხანა ვარვარებს.
მომავლის ნაპირზე ცეცხლოვან ჩირაღდნით მზე-ქალი ნარნარებს,
ის მოვა, მოგვიტანს უზაკვო სიყვარულს და სიცილს დაკარგულს,
ის მოვა, მოგვიტანს ოცნებას ოქროვანს ჩვენ ყველა გატანჯულს...
გააღეთ კარები! დალეწეთ რაზები! დარეკეთ ზარები!
არ გესმით, მოდიან ცეცხლოვან ჩირაღდნით მომავლის ქალები?!

ლიდიანი.

დღეს პროლეტარიატს საბჭოთა კავშირში პოზიციები გამაგრებული აქვს პოლიტიკაში. ეხლა „მან უნდა დაიპყროს პოზიციები სულიერ ცხოვრების ყოველ კუნჭულში“.

ჯერ ჩვენში ამ მხრივ ძალიან ცოტა არის გაკეთებული ჩვენდა სამწუხაროდ. თუ გადაფურცლავთ საქართველოს ხელოვნების სამი წლის ისტორიას, ამაში იოლად დავრწმუნდებით.

პროლეტარულ მწერლობას არ გააჩნია ერთი ხეირიანი ორგანო.

პროლეტარულ მწერალთა კავშირმა გაიჩინა ყოველ კვირეული გაზეთი, მაგრამ დაიხურა უსახსრობის გამო. ეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ბანაკის ყოველკვირეულ „ქართულ სიტყვას“ თან მოჰყვა საკმაოთ დიდ ტანიანი „კავკასიონი“.

მართალია, აღნიშნულ გაზეთში და ჟურნალში მონაწილეობას იღებენ მუშათა კლასის საყვარელი პოეტები, როგორც გ. ქუჩიშვილი, ობოლი მუშა და ვ. რუხაძე, მაგრამ ეს პოეტები დაბოლა დემოკრატიულმა „პრინციპებმა“ და რამდენიმე წელიწადია რაც დაჰკარგეს ძველი სხივოსნობა. ისინი სავსებით ჩამოშორდენ რევოლიუციას.

სანიმუშოთ გადავფურცლოთ, თუ გნებავთ, ობოლი მუშის ახალი წიგნი „შორი ნათელი“. გავხსნათ რამდენიმე ლექსის ფრჩხილები და ვნახთავთ, რომ ობოლი მუშა პროლეტარიატისათვის სამუდამოთ დაკარგულია.

ასევე ითქმის გ. ქუჩიშვილის და ვ. რუხაძის უკანასკნელ ლექსების შესახებაც, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალისტური სულით არიან გაჟღენთილი. სად დაიკარგა მათი ბრძოლის საყვირი, მათი რევოლიუციონური ლექსების ცეცხლოვანი აკვესება?

ალბათ „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას თუ ჩაჰყვა.

მათ აქვთ დიდკანიანი ჟურნალები.

პროლეტარულ მწერალთა კავშირმა კი დღემდე ვერ მოახერხა მუდმივი გაზეთის დაარსება.

მართალია გამოდის ჟურნალები „დროშა“, „მნათობი“, და სხვა, მაგრამ არცერთ მათგანში არ არის, ის რაც უნდა იყოს. არ არის მაგალითად, წერილები პროლეტარული პოეზიის შესახებ, არ შუქდება მისი მიზნები.

მართალია პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ახლო წარსულში ჩაისახა, მაგრამ დღეს მის გარშემო უკვე საკმაოდ მომზადებული ძალები შემოიკრიბენ, ასე რომ არ შეიძლება ითქვას ძალები აია გვყავსო.

ეხლა გადავიდეთ თეატრალურ ხელოვნებაზე.

ხელოვნების ეს დარგი ყველაზე უფრო საკამათო ეეიქნა.

ჯერ კიდევ მენშევიკური ხელის უფლების დროს, რამოდენიმე სხდომები მოუნდა ჩვენი თეატრის საკითხს, ნაყოფათ მივიღეთ მაშინდელი მთავრობის „ავტორიტეტული“ განცხადება; „ვასო აბაშიძე, ვ. გუნია და სხვები მოხუცდენ, ახალგაზრდა ძალები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ“-ო.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგაც მიექცა მას შესაფერისი ყურადღება. მუშაობის შედეგათ, მენშევიკური ხელისუფლების მიერ ჩვენ ახალგაზრდა მსახიობთათვის წაყენებული ბრალდება, სრულიად უსაფუძვლო გამოდგა.

კ. მარჯანიშვილმა დაამტკიცა, რომ ჩვენ სახიობას დიდი მომავალი აქვს, რომ ჩვენი მსახიობნი დიდი ნიჭის და გაქანების არიან. ამ მხრივ კ. მარჯანიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის.

მაგრამ ეს არ კმარა.

„ჩვენი“ სახელმწიფო თეატრები ჩვენი მუშებისა და გლეხების არაა. „ნეპმანების“, მსხვილი „სპეცების“ და წვრილფეხა სპეკულიანტების არიან ისინი“—ამბობს „კომუნისტის“ ფურცლებზე ამხ. გ. მუშიშვილი.

რეპერტუარიც არ არის შესაფერისი, რევოლიუციონური, მუშური. ავიღოთ მაგალითად „მალშტრემი“,

გ. რობაქიძეს უთქვამს: ჩემი „მალშტრემი“ ორმოცდაათჯერ უნდა ნახოთ, რომ ჩასწვდეთ იმის სიღრმეს და გაიგოთო“.

შეიძლება „მალშტრემი“ საერთაშორისო საგანძური იყოს, როგორც ამას პატივცემული ი. გომართელი აღნიშნავს, მაგრამ ჩვენ ხალხს ჯერ გასაგები უნდა მივცეთ, ჯერ უნდა მოვამზადოთ, რომ „მალშტრემი“ და სხვა ასეთები შეითვისოს.—

ასეც, რომ არ იყოს არ შეიძლება სახელმწიფო თეატრი, რომლისათვისაც მთავრობა აუარებელ ფულებს ხარჯავს, მოწინააღმდეგე კლასის სულისკვეთებას გამოხატავდეს.

ჩვენში კი დღეს ასეა.

აკადემიურ თეატრში, „ექსპრესიონიზმს“, „ფუტურიზმს“ და „სიმბოლიზმს“ ასაღებენ, როცა არცერთი ეს სკოლათაგანი მუშათა კლასისთვის მისაღები არ არის.

აკადემიურ თეატრში ძველ დახავსებულ პიესებზე იკერება ახალი ტანისამოსი, იხატება ახალი დეკორაციები, იხარჯება ოქროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სოფლის თეატრებზე კი არავინ არ ზრუნავს. გროშიც არ იხარჯება. „ბურჟუაზიულ კულტურის მფარველობა პირდაპირ დანაშაულია“—აღნიშნავს „კომუნისტში“ იგივე გ. მუშიშვილი. სრული სიმართლეა. მეშჩანურ—ბურჟუაზიულმა თეატრმა გადაყლაპა პროლეტარული თეატრი.

„ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი ხელოვნებაში წინსვლის, პროგრესის, მაღალი კულტურის, მაგრამ მისი შინაარსი პროლეტარული უნდა იყოს“. მარჯანიშვილმა დასდგას თავისი გეგმით, გამოიჩინოს მხატყრული ნიჭი, მაგრამ დადგმულის შინაარსი, პროლეტარული უნდა იყოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს ხელოვნების ფრონტის დაპყრობას, რასაც ფართო მასსისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

შალვა გომართელი.

მასწავლებელთა მდგომარეობა და საქართველოს კომპარტიის ყრილობა.

„ცნობილ იქნას განათლების დარგში მუშაობა პირველ რიგის მუშაობად, რომელსაც მთავრობამ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოს და უდიდესი დახმარება უნდა გაუწიოს ..

„ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ზომები მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ...

(საქართველოს კომპარტიის ყრილობის რეზოლიუციიდან).

ლენინმა სთქვა ერთხელ, თუ გამარჯვება გვინდა მასწავლებელი უნდა დავიპყროთო. უტყუარი ჭეშმარიტებაა. უტყუარი იმიტომ,

რომ დიადია მასწავლებელის მნიშვნელობა საზოგადოებრივ განვითარებისათვის, დიადია სკოლის მნიშვნელობა. სკოლა იგივე ქარხანაა, სადაც მუშა ოსტატი და მასწავლებელია, ხოლო ნედლი მასალა მოწაფეა. რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს ნედლი მასალა განიცდის მუშა-მასწავლებლის გავლენას, გადამუშავებას. აქ როგორც ფიზიკურათ ისე სულიერათ, ფსიქოლოგიურათ იცვლება მოწაფე, იზრდება. ყალიბდება. სკოლას შეუძლია ან მთლათ გააფუჭოს თავისი ნედლი მასალა-მოწაფე, გახადოს ის საზოგადოებრივ ორგანიზმზე ხორცმეტათ, გამოიყვანოს ისეთი, რომ ცოცხლებში მკვდარი იყოს და მკვდრებში კი ცოცხალი, ხორცშესხმული არარაობა, ნული ერთი სიტყვით. მაგრამ სკოლას ისიც შეუძლია, რომ ეს ნედლი მასალა გადაამუშაოს ისეთ კაპიტალათ, რომლის პროცენტები წინ წასწევს ცხოვრებას, გაამაგრებენ საზოგადოებას სოციალური ბრძოლისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკოლას რევოლიუციონურ დროში, სოციალურ გარდაქმნათა და გარდატეხის დროს, როცა ემხობა ძველი იდეოლოგია, ფსიქოლოგია და ყოფა-ცხოვრება და მათ ადგილს იკავებს ახალი აზრი, ახალი შინაარსი და განცდა. ჩვენ ვამბობთ რევოლიუცია გრძელდება, ის ჯერ არ გათავებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა პროლეტარიატისა ძველი ქვეყნისა და სულისკვეთების დასამხობათ არ გათავებულა, რომ ამ ხაზზე გრძელდება დიდი ფიზიკური და ინტელექტუალური ენერგიის დახარჯვა. ამ ბრძოლაში გასამარჯვებლათ პროლეტარიატისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას ყოველნაირი საშუალებანი, რომელნიც მიზანშეწონილნი იქნებიან საბოლოო იდეალთან. და ერთი ასეთნაირი საშვალებათაგანია სკოლაა. ბარიკადებზე გამარჯვება ფიზიკური გამარჯვებაა. ეს გამარჯვება რამოდენიმე საათის, შეიძლება დღეების საქმე იყოს. ხოლო გამარჯვება იდეოლოგიურ ფრონტზე მეტს დროს თხოულობს, აქ უფრო ფართეა ბრძოლის ხაზი და გრძელი, აქ უფრო ხანგრძლივია ენერგიის დახარჯვა. იქ, ბარიკადებზე, პროლეტარიატი მარტო იბრძვის, აქ, იდეოლოგიურ ფრონტზე, მას დამხმარე სჭირდება. და ასეთი დამხმარე, შესაძლებელ მოკავშირეთ შეიძლება მასწავლებელი გახდეს. საქართველოს კომპარტიის ყრილობას ყურადღება მიუქცევია ამისთვის და ეს **შეიძლება სურს, უნდათ** გადააქციოს. თუ ეს მოხდა მაშინ ლენინის სიტყვები გამართლებულნი იქნებიან. თუ ეს მოხდა მაშინ უფრო ჩქარის ტემპით წავა წინ ახალი ქვეყანა, უფრო ჩქარა დაეცემა ძველი ქვეყანა. პროლეტარიატისათვის, ეს უდავოა და განა მარტო მისთვის?

როგორ პირობებშია დღეს ჩაყენებული ეს **შესაძლებელი მოკავშირე** პროლეტარიატისა? —წარმოუდგენელსა და აუტანელს პირობებში. ჯერ ერთი, რომ ის სიმშილობს ამ სიტყვის ნამდვილი და ფიზიკური მნიშვნელობით და საშინელებით. ერთმა მასწავლებელმა, მასწავლებელთა ერთ-ერთ კრებაზე, განაცხადა: მე თვეში სამჯერ მაქვს სადილიო.

არც ერთი სიტყვა აქ არ არის მეტი, სინამდვილისგან დაშორებული.

რა უნდა გააკეთოს მშიერმა ადამიანმა? ამ სტრიქონების ავტორმა იცის შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი კინაღამ წაიქცა გაკვეთილზე სიმშილისაგან. რა უნდა მოვთხოვოთ ასეთს მასწავლებელს? რა უნდა ან როგორ უნდა მისცეს მან აზრი, ახალი ცნება მოწაფეს? როგორ უნდა ემსახუროს მან რევოლიუციას? მისი შრომის ხელ-ფასი მათხოვრული ხელფასია. ამ ჟამათ მასიური მასწავლებელის ხელფასი დღიურათ უდრის 53 კაპეიკს. სასაცილო აქ ბევრი იქნებოა რომ სამწუხარო კიდევ მეტი არ იყოს. მაშ რით სცხოვრობს ის? ჯამაგირს იღებს დეკრეტით, ცხოვრობს სეკრეტით.

გარდა ამისა ასეთ მდგომარეობას აქვს კიდევ ერთი ყოვლად შეუწყნარებელი მხარე. ეს არის მასიური მასწავლებლის გონებრივი ჩამორჩენილობა. არ გაგიკვირდეთ. ის ხომ ვერც წიგნს იყიდის, რომელიც მას აინტერესებს, ვერც ჟურნალს გამოიწერს, რომელიც საჭიროა პედაგოგისათვის, ვერც გაზეთს ყიდულობს, სადაც ის უნდა გაეცნოს პოლიტიკურ ვითარებას ძველსა და ახალი ქვეყნის ჭიდილში.

აი ასეთ პირობებში მეტათ სასიხარულოა კომპარტიის ყრილობის დადგენილება მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. თუ ეს მოხდა, და ეს უნდა მოხდეს აუცილებლათ და დაუყონებლივ, მაშინ მასწავლებელს შეძლება მიეცემა მეტი ენერგია დახარჯოს, მეტი შრომა გასწიოს, მეტი მისცეს პროლეტარიატს. მაშინ ის და მისი სკოლაც მოგვცემენ სასურველ შედეგებს. გაადვილდება მასწავლებელსა და მუშის კავშირი. ნაკლები მტკივნეულობით შეექმნით, გამოვსჭედთ ახალს ქვეყანას. ყრილობის დადგენილებას დიდი ძალა აქვს. ეს ძალა თავის შედეგს მოიტანს, ის სისხლ-ხორცს შეისხამს. ის ეტყვის მასწავლებელს, რომ ის არ არის უკანონო შვილი იმ ახალი ქვეყნისა, რომელიც გვინდა კანონიერათ მოვაწყოთ. ამით ჩვენ დავიპყრობთ სკოლას, სკოლა გახდება ჩვენი. ამით განმტკიცდება საჭირო კავშირი მასწავლებლისა და პროლეტარიატს შორის, დაინგრევა მათ შუა უნდობლობის ჩინური კედელი.

დღეს ჩვენ ვეუბნებით ახალი სკოლის მასწავლებელს: თუ აქამდი შენ გვაძლევდი მას, რაც შეგეძლო აუტანელ პირობებში, დღეიდან ჩვენ მოგცემთ მას, რაც შეგვიძლია ჩვენთვისაც აუტანელ პირობებში. ეს მხოლოდ დაწყებაა და გამარჯვებულმა რევოლიუციამ და პროლეტარიატმა კი, გახსოვდეს მასწავლებელო, იცის მოამაგისა და ამხანაგის დაფასება.

როდიონი.

საგინაო პრიზისი მოსკოვში და მასთან ბრძოლა.

საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ბინის კითხვა ყველაზე უფრო მწვავედ მოსკოვში სდგას. ვინც კი დააპირებს აქეთკენ გამომგზავრებას მის წინაშე პირველყოვლისა ბინის საკითხი წამოიჭიმება.

მოსკოვში ომამდე ცხოვრობდა 1.600-ს ათასი სული, ეხლა კი მცხოვრებთა რაოდენობა 1,850-ათასამდე აღწევს. თვითეულ მცხოვრებს ომამდი 21 კვადრ. ადლზე მეტი ბინა ხვდებოდა, ხოლო ამხანად 10 კვ. ადლიღა მოსდის. საცხოვრებელ ნორმად, ანუ როგორც აქ ეძახიან „კუბოს ნორმად", მიჩნეულია 16 კვადრ. ადლი სივრცე. ასე რომ, მოსკოვში ამ ჟამად თვითეულ მცხოვრებს „კუბოს ნორმის" ორი მესამედი ძლიესღა ხვდება. ამიტომ ბინის კითხვა აქ პირველხარისხოვან მნიშვნელობის კითხვათაა აღიარებული და მისკენ არის მიპყრობილი დღეს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივ ორგანოთა ყურადღება.

ასეთი მდგომარეობა მარტო მოსკოვის ან საბჭოთა კავშირის დანარჩენ ქალაქების ხვედრი არ არის. დადუმდა თუ არა უკანასკნელი ზარბაზნის ხმა მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე, ბინის კითხვამ საზოგადოების სხვა ეკონომიურ ტკივილებთან ერთად უფრო მეტი სიმწვავით წამოჭყო თავი, ვიდრე ეს ომამდის, ან თვით ომის დროს იყო.

ინგლისის მენშევიკურ მთავრობის უმთავრეს საზრუნავ საგანს ბინის საკითხის მოგვარება წარმოადგენს. ამ საკონელზე ინგლისის ოპორტუნისტებმა დიდი პოლიტიკური კაპიტალი შეიძინეს.

რაც შეეხება მოსკოვს, აქ ბინის კრიზისის არაჩვეულებრივობა ადვილი წარმოსადგენია. მოსკოვი, რომელსაც ოქტომბრის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ადმინისტრატიულ და პოლიტიკური ცენტრის როლი; ქალაქი, რომელიც მსოფლიო რევოლიუციის შტაბს წარმოადგენს, ბუნებრივად იზიდავს თავისაკენ მცხოვრებთა ახალსა და ახალ რეზერვებს და თვალდათვალ იზრდება მცხოვრებთა რაოდენობა.

ახალი სახლი, ამ სიტყვის თანამედროვე აღმშენებლობის მნიშვნელობით, არ აშენებულა. პირიქით: სამოქალაქო ომმა და ბლოკადამ დიდი ზიანი მიაყენა ქალაქის ვეებერთელა ინვენტარს. 1912 წელში არსებული 3.780 ათასი კვად. საჟენი საცხოვრებელი სივრცე ამჟამად 2.150 ათას კვად. საჟენს უდრის და ეს მაშინ, როცა მცხოვრებთა რიცხვი ამავე ხნის განმავლობაში 250 ათასით გაიზარდა.

ამნაირად ბინის სივიწროვე მოსკოვისათვის დამაფიქრებელი შეიქნა. ის მეტად აფერხებს ქალაქის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას. ამიტომ ხელისუფლებამ ენერგიული ბრძოლა დაიწყო მის შესამსუბუქებლად.

აკრძალულია უსაქმო ელემენტების მოსკოვში დაშვება. განზრახულია მთელ რიგ დაწესებულებათა მოსკოვიდან გადატანა, რომელთა მუშაობა შესაძლებელია შეუფერხებლივ სწარმოებდეს სატახტო ქალაქის გარედაც; უკვე გადაასახლეს სოციალურად მავნე პირები და სხვა. მაგრამ ეს ყველა პალიატიური ზომებია. ამით, რასაკვირველია, არ გადაწყდება ბინის საკითხი.

პირველი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს აღმშენებლობის დაწყებას და განვითარებას ახალი შენობები, თანამედროვე საალმშენებლო ტეხნიკის სიტყვით აშენებული სახლები—აი ის მალამო, რომელიც გააკრობს და განკურნავს ბინის ტკივილებს.

მაგრამ სააღმშენებლო საქმე იმ საზომით, რომელსაც მოითხოვს საბჭოთა კავშირის დედა ქალაქის საჭიროება, სახელმწიფოს ბიუჯეტისათვის დაუძლეველი ამოცანაა. მას ის ვერ აი ტანს განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ფინანსიურ რეფორმის წარმატებით დასრულებისათვის ის იძულებულია მთელი თავისი გასავალი, პასივი მინიმუმამდი დაიყვანოს. ამასთანავე სააღმშენებლო ოპერაცია ისეთი სახის წარმოებაა, რომელიც ახლო მომავალში ვერ აანაზღაურებს საქმეში ჩადებულ თანხას და რეალურ ნაყოფს თანდათანობით, სამერმისოდ იძლევა. ცხადია, ასეთ წარმოებაში ვერ დააბანდებს სახელმწიფო ღარიბ ჯიბიდან გაღებულ თანხას.

კერძო კაპიტალის იმედი ფუჭი ოცნებაა. ჩვენ ვიცით რა უხალისოთ მოდის ის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ აღორძინების საქმეზე.

ერთად-ერთი გზა, რომელიც დარჩა შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელად — ესაა სააღმშენებლო-საქციონერო საზოგადოების შექმნა. და მოსკოვის საბჭოც სწორედ ამ გზას დაადგა.

ვისგან უნდა შესდგეს ეს საზოფადოება? რა თქმა უნდა ისევ სახელმწიფოს ორგანოებიდან. ტრესტები, სინდიკატები, კოოპერატივთა გამგეობები და სხვა. მაგრამ არის ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელმაც ამ საქმეში პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს. ესაა საბინაო ამხანაგობები. მხოლოდ ამ ორგანოთა საშუალებით შეიძლება ფართე მშრომელი მასის საზოგადოებრივ აღმშენებლობაში უშუალოდ ჩაბმა.

ამ ბოლო ხანებამდი საარჩევნო უფლება ახდილ ნეპის ბურჟუაზიას ღია ჰქონდა კარები სწორედ ამ ორგანოებში. საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა ასპარეზიდან განდევნილმა ბურჟუაზიამ მაგრამ გაიდგა აქ ფეხი და საბინაო ამხანაგობები კლასიურ ბრძოლის ციხე-სიმაგრეთ გადააქცია. ზედმეტი დარჩა იმაზე ფიქრი, რომ ბურჟუაზია, როგორც ეკონომიურად შემძლე ელემენტი, თავის თავზე აიღებდა საბინაო აღმშენებლობის საქმეს...

სააღმშენებლო-სააქციონერო საზოგადოების ორგანიზაციისათვის ასეთი შემადგენლობის საბინაო ამხანაგობები, რა თქმა უნდა, უსარგებლო მასალას წარმოადგენდენ. ამიტომ დამკვრელ ამოცანად დაისვა ბურჟუაზიის ამ უკანასკნელ საბუდარიდანაც განდევნა. მოსკოვში ამხანად გაცხარებული კამპანიაა სახელმწიფო სახლების მუშა მდგმურების ხელში მთლიანად გადასაცემად.

აქედან ჩაეყრება საძირკველი საზოგადოებრივ აღმშენებლობას. მხოლოდ ამ გზით მოეღება ბოლო საბინაო სიმშილს, რომელიც სხვაზე უფრო სულს უხუთავს მოსკოვის პროლეტარიატს.

ამ გზით იხსნის თავს უბინაობისაგან საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქები და მასთან ერთად თბილისის მშრომელი ხალხიც.

აკ.ჭ—ა.

მოსკოვი. 27 IV-24 წ.

ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲣᲪᲙᲘ.

ამ დღეებში ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ფრიად საინტერესო ფოტოგრაფიული სურათი. ერთად არიან გადაღებული, საქართველოში კარგათ ცნობილი მეამბეხე თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, არანაკლებ ცნობილი, ოდესღაც ჩვენი სტუმარი, მე 2-რე ინტერნაციონალის ერთ ერთი სულის ჩამდგმელი კარლოს კაუცკი თავის განუყრელ მეუღლითურთ და შუაში კიდევ, ყოფილი შეფი მილიციისა და სხვათა.. ჩხიკვიშვილი ბენია.

საუცხოვო სამება გამოსულა, არა მკითხველო?!! კაუცკი და ჩოლოყაშვილი.... საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ მოიცილა თავიდან არა მკითხეთა ბატონობა. ბრძოლით მოიპოვა რა თავის უფლებები, ჩამოართვა რა ბინა და პრიველეგიები თავად-აზნაურობას, და მათ შორის ბატონ ჩოლოყაშვილსაც, მუშათა კლასმა, ძალა უფლების ხელში აღებისთანავე, საკუთარი საქმის მოწყობას შეუდგა თვითვე. და იმ დროს, როდესაც ნორჩი ხელისუფლება მშრომელებს აწესრიგებდა საბჭოთა სახელმწიფოს საქმეებს, როდესაც ის დღიან-ღამიანა გამუდმებულ შრომას ეწეოდა, ბრძოლით მოპოვებულ ხელისუფლების გასამაგრებლათ და შესანარჩუნებლათ, მაშინ დაესხა თავს მას თავადებისა და „უადგილო აზნაურების“ ხროვა, ბანდიტ ჩოლოყაშვილის მეთაურობით და ლამობდა ზურგში ხანჯლის ჩაცემას. მუშათა კლასი საკმაოთ ფხიზელი აღმოჩნდა. არც საქართველოს გლეხობა აყვა ყაჩაღურ ავანტიურებს. ჩოლოყაშვილის ბანდიტური გამოსვლა დამთავრდა მისი სასტიკი დამარცხებით და აი აქ გამოირკვა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვა წვრილფეხა ბანდიტები მარტონი არ იყვნენ. აქ აღმოჩნდა, რომ ამ ავანტიურისტებს ვიღაცა ზურგს უმაგრებდა და ეს ვიღაცა, თურმე, მენშევიკური არალეგალური ცეკა იყო. კიდევ მეტი. მენშევიკური ცეკა, „საზღვარ გარეთის“ დავალებით თვით აწყობდა აჯანყებებს (როგორც სავსებით შემდეგში ხმალაძის და სხვათა წერილებიდან გამოირკვა) და ცდილობდა შეექმნა აუტანელი ატმოსფერა მუშაობისათვის. რა თქმა უნდა, ამას განსაზღვრული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

რა თქმა უნდა, არალეგალური ცეკა ამის შესახებ ხმა მაღლა არ ლაპარაკობდა. მას ერთხელაც არ განუცხადებია მის რიგებში მებრძოლ მუშებისათვის, რომ პარტია ამ გზით სცდილობდა დამხო საბჭოთა ხელისუფლება. პირიქით, ის არწმუნებდა ყველას, რომ სრულ ლოიალობის ნიადაგზე სდგას, მაგრამ „ოკუპანტებმა“ მაინც არ გაგვიტანეს, იატაკ ქვეშ ამიტომ მოვექცითო.

მაგრამ საკმარისი შეიქნა გამოსვლა ჩოლოყაშვილის, რომ მუშათა ფართო წრეებს სინამდვილე მთელი სიშიშვლით დაენახათ. დაიწყო მასიური მიტოვება მენშევიკური პარტიისა მუშების და გლეხების მიერ. პარტია რამოდენიმე ათასეულებმა დასტოვა. დაბოლოს ის ბელადებმაც მიატოვა, რომელთაც მუშათა კლასის საქმისადმი ოდნავი სიყვარული შერჩენილი კიდევ ჰქონდათ.

მიზეზი? ერთ-ერთი და უმთავრესი მენშევიკურ პარტიის დაშლისა იყო უსათუოდ მისი ყაჩაღურ ავანტიურებში გადაჩეხა.

მუშათა კლასს არასდროს არ ჰქონია საერთო არაფერი ყაჩაღ-ბანდიტებთან. ვერც ეხლა დაიჭერდა იმათთან კავშირს და გასცილდა კიდეც. მაგრამ აქ ის არის საყურადღებო რომ არალეგალური ცეკა უკანასკნელ მომენტამდის უარს ყოფდა კავშირს ბანდიტებთან. ის ცივ უარზედ იდგა და ყველა საბუთებს, რომელიც კი გამოქვეყნდებოდა ამ ბრალდების დასამტკიცებლად, ჩეკის მიერ შეთხზულ საგიტაციო მასალათ, პროვოკაციათ აცხადებდა. ვანო ხმალაძე, რომელმაც გამოაქვეყნა ყველაფერი ის, რაც მან იცოდა მენშევიკურ ცეკას მოღვაწეობის შესახებ, ჩეკის მიერ მოსყიდულ აგენტად იქნა გამოცხადებული.

სეით ღევდარიანს, რომელმაც,მისი თქმით, ჩეკაში გაეცნო ყოველგვარ მასალებს და ენერგიული პროტესტით დასტოვა მენშევიზმის ავანტიურისტული გზა, „დაღლილობა“ და პორტფელ ავტომობილზე მოწყენილობა დასწამეს და ისიც თითქმის ჩეკის აგენტად იქნა აღიარებული.

რა თქმა უნდა არ დაუკლიათ ლანძღვა გინება იმათთვის, ვინც ავანტიურიზმის წინააღმდეგ ხმა პირველათ აღიმაღლა.

მთელი რიგი ძველი რევოლიუციონერებისა, თავდადებული მებრძოლი მუშები, პერსონალურად ჩეკის მიერ მოსყიდულებათ გამოაცხადა, ხოლო საერთოდ მასას კი დაღლილობა დასწამა.

ერთი სიტყვით, არალეგალური ცეკა ცივ უარს ამბობდა ყაჩაღურ ბრბოებთან კავშირზე.

და იყვნენ ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც სჯეროდათ ეს.

მაგრამ ეხლა, ამ სურათის მიღების შემდეგ, ხომ ნათელი გახდა ყველასათვის ის, რაც (დაუშვათ) ღღემდის კიდევ სადაო იყო?

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ბენია ჩხიკვიშვილთან და კარლოს კაუცკისთან ერთად!

განა ამაზე მეტი საბუთი კიდევ არის საჭირო?

ან იქნება კარლოს კაუცკიც ჩეკამ მოისყიდა და ბანდიტ ჩოლოყაშვილს მოუჯინა გვერდში?

ჩვენ კარგა ხანია ვიცოდით რა სახის იყო არალეგალურ მენშევიკურ ცეკას მოღვაწეობაც და განცხადებაც.

დეე, დღეს ისინიც დარწმუნდენ და აიხილონ თვალი, ვისაც კიდევ სჯერა მენშევიკური სოციალ-ტის ჭორები.

მენშევიკური პარტია დაინგრა და სწორედ იმიტომ, რომ მან მუშათა კლასის მოსისხლე მტერთან შეკრა კავშირი. მაგრამ არ გიკვირს, მკითხველო?!

კაუცკიმ, ცნობილმა სოციალისტმა კაუცკიმ-ყაჩაღის გვერდით ამოჰყო თავი.

არ გიკვირთ, რომ ის კაუცკი, რომელმაც აგრე ტკბილათ უმღერა მუშათა კლასს სოციალიზმის სიმღერები და მასუკან დიდი ხანი არ არის რაც სოციალისტურ რევოლიუციაზე ჭიკჭიკებდა—მუშათა კლასის მოსისხლე მტერს გვერდს უმშვენებს?

უნებლიეთ დიდებულ შოთას სიტყვები გაგონდება: „ვაჰ სოფელო, რაშიგანხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გეპირსა...

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა..“

„სოციალისტი“ კაუცკი და ბანდიტი ჩოლოყაშვილი ურთ-ერთის გვერდის დამამშვენებელი...

საუცხოვო სურათია.

საქართველოს მშრომელი მასსა ერთხელ კიდევ დარწმუნდება იმაში, რომ არა მარტო ჩვენი მენშევიზმი, არამედ მსოფლიო მენშევიზმიც არ არის წინააღმდეგი ხელი-ხელ ჩაკიდებული იაროს, მუშათა კლასის წინააღმდეგ, მის მოსისხლე მტრებთან ერთად.

ამას ამტკიცებს ეს იშვიათი ფოტოგრაფია.

კლდე.

ერთი ინფორმაციის შესახებ.

(ნოე ჟორდანიას პასუხის გამო).

ჩვენი ჟურნალის უკანასკნელ ნუმერში დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას პასუხი.

ეს არის პასუხი იმ მიმართვაზე, რომელიც შარშან აგვისტოში ყ. მენშევიკების ყრილობამ გაუგზავნა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურს და ხელმძღვანელს. მიღებული პასუხი მრავალ მხრივ არის საყურადღებო.

საყურადღებოა ის იმ მხრივაც, რომ გვაჩვენებს, რამდენათ უძლურია მენშევიზმი გაერკვეს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში.

ნოე ჟორდანიას პასუხი არის პასუხი არა მარტო მისი პირადი, არამედ ის გამოხატავს მისწრაფებას, იმედებს და სულისკვეთებას იმ წრეებისას, რომელიც შერჩა ყ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გახუმებულ დროშას. ჩვენ მოგვიხდება კიდევ შეჩერება ნოე ჟორდანიას წერილის სხვა და სხვა ადგილებზე.

დღეს კი მკითხველის ყურადღება ერთ ფრიად საყურადღებო ადგილს გვინდა მივაქციოთ.

თითქმის მთელი პასუხის მანძილზე ნ. ჟორდანია გაიძახის: არ დაუჯეროთ საბჭოთა პრესის ინფორმაციას. ჩვენში არ არსებობს პრესის თავისუფლება, არ არის სხვა გაზეთები გარდა მთავრობის გაზეთისა, ხოლო მთავრობა დაბეჭდავს იმას, რაც ხელსაყრელია მისთვის. რაც არა და იმის შესახებ კრინტსაც არვინ დასძრავსო.

ჩვენ არ დავიწყებთ კამათს იმის გარშემო აქვს თუ არა მუშათა კლასს საქართველოში წერის თავისუფლება. არის თუ არა მისი პრესა. ერთს აღვნიშნავთ მხოლოდ, არც ერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე, და და რა თქმა უნდა არც „კურთხეულ“ გერმანიაში, მუშათა კლასს არ აქვს ისეთი გავლენა პრესაზე როგორც საბჭოთა კავშირში და კერძოთ კი, ჩვენში, საქართველოში.

ლიტონი სიტყვები ან საპროპაგანდო ლექსიკონიდგან ამოღებული ფრაზა არ არის ეს. ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. თვითეული გაზეთის გარშემო უმრავი მუშა კორესპოდენტები არიან შემოკრებილი. ეს კორესპოდენტები, მუშები, გლეხები და მოსამსახურენი ან არჩეული არიან სრულიად თავისუფლად ან და კიდევ თვით, თავისი ინიციატივით მუშაობენ საბჭოთა გაზეთებში. **თვითეულ რედაქციასარსებობს მუშკორთა ბიურო**, ხოლო ქალაქის და რესპუბლიკის მასშტაბით, კიდევ საქალაქო და რესპუბლიკანური ბიურო.

არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთების ფურცლებზე, რომ მუშკორი, ქარხნიდგან გამოსული მუშა ჟურნალისტი, ჩაქრა უკვე სავსებით შესძლებს გაზეთის სათავეში ჩადგომას, ხოლო ამჟამათ კი მათი ხმა გაზეთზე შესაფერისს გავლენას ახდენს.

აბა მიგვითითოს ვინმემ სადმე ასეთი შემთხვევაზე.

მერე და ამას ჰქვია პრესის დახრჩობა?

ნება გვიბოძეთ არ დავეთანხმოთ ნოე ჟორდანიას და ჩვენ კვლავ ჩვენი ვსთქვათ:

მართალია, ჩვენში არ არის პრესის თავისუფლება პროლეტარიატის მტრებისათვის, მაგრამ სამაგიეროთ მთელი პრესაზე უკვე მნიშვნელოვან გავლენას თვით ქარხანა ახდენს, მთე-პრესა მუშების ხელშია. პრესის თავისუფლება მუშებისათვის და გლეხებისათვის, (რომელთათვის ასე „ზრუნავს“ უკანასკნელ წერილის მიხედვით ნოე ჟორდანია) ჩვენში არსებობს.

„არ დაუჯეროთ საბჭოთა გაზეთების ინფორმაციას. კომუნისტები გატყუილებენ და თქვენც, გულბრყვილონო, ანკესზე წამოეგეთ“, ამბობს ნოე ჟორდანია და იქვე იჩქარის მოგვაწოდოს ინფორმაცია თანამედროვე ევროპის ვითარების შესახებ.

ჩვენს წერილში ნოე ჟორდანიას ვსწერდით, რომ ჩვენ აღვადგინეთ კვლავ ათეულ წლების განმავლობაში გათიშული ოჯახი მუშათა კლასისა, რომ ჩვენ მივუბრუნდით ძველ ოჯახს რევოლიუციონური პროლეტარიატისას და ამრიგათ კვლავ შევქმენით მტკიცე ფრონტი კაპიტალის წინააღმდეგ. ამაზე ნოე ჟორდანია გვიპასუხებს;

— აი, მაგალითად, რას სწერენ იგინი (ყ. მენშევიკები:) „ათეულ წლობით დაქსასული ქართველი მშრომელი ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება და იქმნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ“-ო ნამდვილად კი ისინი მხოლოდ ახლა გამოეთხოვენ მშრომელი ხალხის მთლიან ოჯახს და „კაპიტალისტურ სამყაროს“ წინააღმდეგ აღმართულ ფრონტს.— ამბობს ის და იქვე გვისურათებს თანამედროვე ევროპაში მუშათა მოძრაობის მდგომარეობას:—„ერთი ფრონტი შექმნილის არა ბოლშევიკებისაგან, არამედ ინტერნაციონალურ სოციალიზმისაგან, რამდენადაც ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი ერთ ფრონტშია ჩაბმული, საიდანაც გამორიცხულია ბოლშევიკები. რუსული ბოლშევიზმის მიმდევარნი, მართალია, არიან ევროპაში, მაგრამ ყველგან წარმოადგენენ სრულიად უმნიშვნელო ძალას და სულს ღაფავენ მხოლოდ მოსკოვის ფინანსიურ საშუალებით“. რა დაგვრჩენია ამ სიტყვების შემდეგ გარდა ცნობილი ფრაზის განმეორებისა, რომელიც ჩვენს დასახასიათებლათ მოჰყავს სხვათა შორის ნოე ჟორდანია: ოი წმინდაო გულუბრყვილობავ.

ვინ ღა იტყვის ეხლა, იმას რომ, მაგალითად, გერმანიის პროლეტარიატში კომუნისტურ პარტიას „უმნიშვნელო“ გავლენა აქვს, გარდა განზრახ თვალ ახვეული ადამიანისა.

ან სავსებით გულუბრყვილო უნდა იყო, ან და კიდევ განზრახ ამახინჯებდე ფაქტებს, რომ ისეთი „სწორი“ ინფორმაცია მიაწოდო საზოგადოებას, როგორიც ნ. ჟორდანიამ მოგვაწოდა. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანია-საფრანგეთში, მუშათა კლასის საგრძნობი და არა უმნიშვნელო ნაწილი მიჰყვება კომინტერნის დროშას.

ეს საკმაოთ ნათლად მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში გამოაშკარავდა.

კომუნისტურმა პარტიამ გერმანიაში 4 მილიონი ხმა მიიღო, ხოლო საფრანგეთში კი 30 დეპუტატი კომუნისტი გავიდა პალატაში. არას ვიტყვით ბულგარეთზე, სადაც არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა გლეხთა პარტიის და კომუნისტების კავშირმა.

ნოე ჟორდანია კი გვაწვდის „სწორ“ ინფორმაციას საზღვარ-გარეთიდგან და გვეუბნება: „არ დაუჯეროთ კომუნისტებს, ესენი მატყუარები არიან, აქ მათი ლანდიც კი არსადა სჩანს და თუ ვინმეა ისიც მოსკოვის ხარჯზე სცხოვრობსო“, როგორ იტყვის მკითხველი, ვის ქონია უკეთესი ინფორმაცია, ვინ უთხრა უფრო მართალი მუშათა კლასს, თუნდაც აი ევროპაში მუშათა მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობაზე, საბჭოთა გაზეთებმა თუ ნოე ჟორდანიამ?

ვისი ინფორმაცია არის უფრო დასაჯერებელი, ჩვენი თუ ნოე ჟორდანიას?

რაღა პირით ლაპარაკობენ, ამ მაგალითის შემდეგ, რომ საბჭოთა კავშირში არ არის სწორი ინფორმაციო. ერთი მართალია, არ არის ისეთი ინფორმაცია, საბჭოთა კავშირში როგორიც უნდა ნოე ჟორდანიას, როგორიც ეხლა მოგვაწოდა. მუშათა კლასს ჩვენ ყალბ ცნობებს არ ვაწვდით, არც მივაწვდით.

კარგ ამბებს ჩვენ მას ვახარებთ, მაგრამ ცუდსაც ვეტყვით არ დაუმალავთ.

ახალი.

მუშათა წერილები

მეტის მეტი გათამამება სამსახურის ასრულების დროს.

რომელ მოსამსახურესაც არ უნდა ჰკითხო ყველა თავის თავს აქებს ადიდებს, და ყველა ამერიკის აღმომჩენლები ვართ, თითქოს ერთი დანაშაულობაც არ მიგვიძღვის სამსახურის წინაშე; მაგრამ საუბედუროთ ეს ასე არ არის, იქნებ ჩვენ თავათ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ჩვენი ვალი არის ყოველივე ჩვენი დანაშაულობა გავუსწოროთ შემჩნევით ჩვენვე ამბანაგებმა, ერთმანეთს, რომ ამით მოგვეცეს ყველა ჩვენგანს მაგალითი შემდეგისათვის. მე მაქვს საუბარი მოძრაობის დარგის გულგრილობაზედ: მე

როგორც მემანქანე, ვალდებული ვარ გავიგო ყოველთვის, როდესაც სადგური იჭერს მატარებელს უშედეგოთ, დაგვიანების მიზეზი. ზოგი აგენტები კი ცხარობენ, — არ არის თქვენი საქმეო, როდესაც მოგიტანენ ნებართვის ბარათს მაშინ წახვალო, მაგრამ ისეც არ არის მათ რო გონიათ. ყველა ჩვენგანი ვალდებულია გაიგოს და შემჩნევა მისცეს იმ აგენტებს, რომლებსაც გასამართლებელი საბუთი არა აქვთ, რომ ამით შემდეგისთვის ვიყოთ ფრხილად და ფხიზლათ.

მაგალითს მე მოგახსენებდით შემდეგს: მე მოვდიოდი თებერვლის დამდეგ რიცხვებში მატარებლით 1260. სანაინიდგან მატარებელი მზათ იყო გამოსამგზავრებლათ საათის 1-ზედ ღამით. მაგრამ ვიდექი სანაინში 3 ს. და 45 წუთამდის, ესე იგი 2 ს. 45 წ., რადგან ალავერდს ვერ გაავგონეს, სანამ არ გაგზავნეს გზის დარაჯი სანაინიდგან ფეხით და არ გაალვიძეს მორიგე პაპიანცი, რომელმაც შემდეგ კეთილი ინება მიეღო მატარებელი 1260.

შემდეგ ამისა 12/V მოვდიოდი სანაინიდგან ისევ იმ ნომ. 1260. სადგურ აირუმში ვიდექი 45 წ. უშედეგოთ. ჩემს შეკითხვაზედ სად. მორიგეს ამბ. მინდიაშვილს-რატომ ვდგევართ მეთქი, მან მიპასუხა: სადახლოს ვეძახი მას აქეთ, რაც რომ თქვენი მატარებელი გამოვიდა ახტალიდანო, თითები დამიღალდა და ვერაფერი გავაგონეო.

და აი ამგვარ გულშეუმატკივარი აგენტების წყალობითაა დაქვეითებული ჩვენი ტრანსპორტი. ამის შესახებ პატაკიც იყო შედგენილი, მაგრამ ჩაილულის წყალი დალია, იმიტომ რომ საგამომძიებლო უფროსმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია.

ეს ამას მოგახსენებდით რთულ მატარებლების ბედ იღბალზედ და ტრანსპორტის აწევაზედ. შემდეგ მოგახსენებთ მარტივ მატარებლებზედ, რომლების აპარატები და ტელეფონები მუდამ მოშლილია. ამ მოვლენას ადგილი აქვს ნავთლუღიდგან სანაინამდის.

მემანქანე

მუშფაკის მსმენელთა ექსკურსია.

მუშათა ფაკულტეტის 200 მსმენელმა, ფაკულტეტის დეკან. ხუნდაძის და პროფესორ გარდაფხაძის ხელმძღვანელობით დაათვალიერა ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური. მცხეთიდან უკვე მოსჩანს ახალ გაშენებული პატარა ქალაქი და სამ ვერსზე გარღვეული სალი კლდე, ცნობის მოყვარეობით გატაცებული ისწრაფვი აქეთ. რამდენიმე წუთში სადგურ მცხეთიდან მისული ექსკურსანტები გარს შემოერტყა მდინარე მტკვრისა და არაგვის შესართავს, სადაც შენდება სადგურის სათავე. მუშები არღვევენ ქვიან ღრმა კედლებს და მანქანების საშვალებით ეზიდებიან მდინარე მტკვრის ძველ ყალიბში; აქ მუშაობის ხელმძღვანელმა გ. ბერიძემ ექსკურსანტებს გააცნო სადგურის გეგმა და მისი მნიშვნელობა.

თანახმად ამ გეგმისა, სადგურის სათავეზე (მდინარე მტკვრის და არაგვის შესართავი) წყალი აიწევს 25½ მეტრის სიმაღლეზე, რის გამო მდინარეთა ჩქარი დენა სადგურის სათავიდან თითქმის რვა ვერსზედ შენელდება, ამ ფართე და გრძელ ბასეინში დაგროვდება წყალის დიდი მარაგი და საჭიროების მიხედვით დაეშვება ჰიდრო-სადგურის სამ ვერსიან არხში დიდმის ხიდესთან, სადაც ჰიდრო-სადგური იქნება აგებული. 20 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილი მდინარე შექმნის 36000 ცხენის ძალას. მან უნდა აამუშაოს მრავალი ფაბრიკა ქარხნები, ტრამვაი, მოჰფინოს სინათლის სხივები ტფილისს და მის მიდამოს. მდინარე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში უქმად ჩაიქროლებდა ტფილისის შუაგულში და გარდა ზიანისა არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა ხალხისათვის, დღეს უნდა შეიქმნეს საქართველოს დედა ქალაქის კულტურის და ცივილიზაციის დაუშრეტელ წყაროდ.

არხის დასამთავრებლად გაცხოვლებული მუშაობა სწარმოებს, საინტერესო სანახავია, უკვე დამთარებული, არხის ქვეშა გვირაბები. მათ შორის ფაციანთ ხევის გვირაბი, სადაც მთებიდან მოვარდნილი წყალი, არხის ქვეშ გავლით დაეშვა მტკვრის ძველ ყალიბში. ზევიდან, არხის ამოსსხმული ხიდით, გადაივლის მდინარე მტკვარი ჰიდრო სადგურისაკენ.

საინტერესოა აგრეთვე სამუშაოს ტეხნიკური მოწყობილობა. ექსკოვატორი დადის არხში, გლეჯს დედამიწის 20-25 ფუთიან ბელტებს და ყრის ვაგონეტკებში. (ამ მანქანას მუშები ბელტი ყლაპიას ეძახიან). მოწყობილია მუშებისთვის, საუცხოო ქვის შენობაში აბანო, კოოპერატივი, სასადილო, სადგომი ბინები, კლუბი რომლის წინ ამხ. ტროცკის ხელით დარგულია ორი ნაძვის ხე. აღტაცებაში მოჰყავხარ ამ სანახაობას. ამ მოკლე ხანში გაწეული დიდი მუშაობით. უკვე ახლო მომავალში დამორჩილებული, გამოყენებული იქნება ბუნება მშრომელთა — საკეთილდღეოთ. მხოლოდ დღეს მუშათა კლასის ბატონობის დროს ხდება სინამდვილეთ ეს დიდი ხნის ოცნება.

ცოტა დასვენების შემდეგ, ექსკურსანტებმა დაათვალიერეს მცხეთის მონასტერში ისტორიული ნაშთები და ინახულეს, მტკვრის ნაპირზე, არსენა ყაჩაღის (ოძელაშვილის) სასაფლაო. სასაფლაოს ადევს ქვა წარწერით: „აქ განისვენებს ყაჩაღი, ყველგან ცნობილი არსენა. ხალხისგან კურთხეული, ღმერთმაც კურთხევით ახსენა. ეს ლოდი დადო დავით კეზელმა“. ადგილობრივ მოხუცი გლეხების გადმოცემით დავით კეზელი იყო აზნაური, რომელსაც არ ჰყავდა ყმები, ამიტომ ცუდ განწყობილებაში იყო თავადებთან და მეგობრობდა არსენასაებრ მებრძოლებს. დიდათ ნასიამოვნები მუშფაკელები ამ სანახაობით, საღამოს 9 საათზე დაბრუნდნენ ტფილისში.

მუშფაკელი № 2

მოწერილი ამბები

ამხ. ფ. მახარაძე გურიაში.

29 აპრილს გურიის სამაზრო პარტ. კონფერენციას ესტუმრა ამხ. ფ. მახარაძე. მან გააკეთა მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობისა და პარტიის ახალი ამოცანების“ შესახებ.“

ჭაღარა ბელადი დაწვრილებით შეეხო იგლისში არსებულ ხელისუფლებას, რომელსაც სათავეში მაკდონალდი უდგას და ამასთანავე, გააშუქა რუსეთ ინგლის შორის სადაო საკითხების გადასაჭრელად მოწვეული კონფერენციის ამოცანები.

მომხსენებელმა გააშუქა საბჭოთა კავშირის შინაური მდგომ-რეობა. ის შეჩერდა ფულის რეფორმისა და სამუშაო ხელფასის საკითხებზე.

შემდეგ ამისა მომხსენებელი კომპარტიის მორიგ ამოცანებზე გადავიდა. მან მიუთითა კონფერენციას, რომ საჭიროა დაუცილებელი ძლიერი კომუნისტური ორგანიზაციების შექმნა ევროპის სხვა და სხა სახელმწიოებში, რომ უზრუნველყოფილი გახდეს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება. ამ დებულების ნათელყოფისათვის ის შეჩერდა გერმანიის რევოლიუციის დამარცხებაზე, რომელიც გამოწვეული იყო, სათანადო ხელმძღვანელი პარტიის უქონლობით.

„რომ განმტკიცდეს ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობა, სთქვა მომხსენებელმა: „ამისათვის საჭიროა, რომ თვით პარტიაში სუფევდეს ერთსულოვნება და სიმტკიცე, ხოლო თუ ასეთი სიმტკიცე შეულახელი დარჩება, მაშინ დამარცხების საშიშროება თავის თავად მოიხსნებაო.“

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე მსოფლიო რევოლიუციის პიონერის ვ. ი. ლენინის დანაკლისზე დღეევანდელ პირობებში, და მისი სიკვდილის შემდეგ პარტიის სამრეწველო პროლეტარიატის შემწეობით განმტკიცების აუცილებლობაზე.

მომხსენებელს კონფერენცია დიდის აღტაცებით შეხვდა, მოხსენებამ გასტანა 2 საათს.

კონფერენციის მეორე დღეს, გურიის ახ. კომუნისტური კავშირის თხოვნით, ამხ. მახარაძე ეწვია იმ სასწავლებლის მოწაფეებს, თავისი მოგონებით, რომლის ოთხ კედლებში მან ამ რამოდენიმე წლის უკან, წყეული რეჟიმის დროს უმაღლეს დაწყებითი ცოდნა მიიღო.

მოსწავლე ახალგაზრდობა ძველ მარქსისტს და კომუნისტური პარტიის ბელადს დიდის აღტაცებით შეხვდა. როდესაც ის მიუახლოვდა სასწავლებლის ეზოს გაისმა მქუხარე ტაში და ვაშას ძახილი. ხელში აყვანით ის მოსწავლე ახალგაზრდობამ შეიყვანა მოხსენებისათვის მორთულ დარბაზში, რომელსაც ამშვენებდა ლენინის და თვით სტუმარის ამხ. მახარაძის სურათები.

საზეიმო სხდომა გახსნა ამავე ტეხნიკუმის მოწაფემ კ. ღლონტმა, რომელმაც მიმართა არაჩვეულებრივ სტუმარს მხურვალე სიტყვით.

ამხ. ფილიპემ მოსწავლე ახალგაზრდობას ესაუბრა იმ დროს შესახებ, როდესაც ის სწავლობდა ამ სასწავლებელში მან თავის მოგონებაში აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც

მაშინ ახალგაზრდობას უხდებოდა სწავლის მიღება, გააშუქა სკოლის მაშინდელი ხელმძღვანელების როლი და ამოცანები, აღნიშნა ის აღვირახსნილობა, რომლითაც პედაგოგიური პერსონალი მოსწავლეებს, „ანვითარებდა". ბოლოს მომხსენებელი შეჩერდა ლენინის მსოფლიო მნიშვნელობაზე და მისი შესწავლის აუცილებლობაზე.

„სწავლა და სწავლა, აი რა იყო ლენინის საბოლოო სიტყვები, რომლითაც ის მიმართავდა ახალგაზრდობას. ამიტომაც შეასრულეთ თქვენ დიდი პიროვნების საკაცობრიო მოწოდება და მით გაამართლებთ მის საკაცობრიო დამსახურებასო – დასასრულს სთქვა მომხსენებელმა.

კიდევ გაისმა მქუხარე ტაში და ვაშას ძახილი, რომელიც დაბოლოს ოვაციათ გადაიქცა.

ასეთი აღტაცებით და დიდის თანაგრძნობით შეხვდა ჩვენს ბელადს გურიის მომავალი რევოლიუციონური ახალგაზრდობა...

შ. სიხარულიძე.

პირველი მაისის დღესასწაული სოფელ „პრიუტში".

პრიუტის საზოგადოება შესდგება 15-ტი სოფლიდან. 1-მაისს ყველა სოფლების მშრომელმა ხალხმა, წითელი დროშებით ინტერნაციონალის სიმღერებით, თავი მოიყარეს სოფელ „პრიუტში". გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკა როგორც თფილისიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა ისე ადგილობრივმა გლეხებმა. მათი სიტყვებიდან აშკარათ სჩანდა, რომ იქაური გლეხობა დიდათ კმაყოფილია საბჭოთა ხელისუფლებით.

სწავლა განათლების საქმე მშვენივრად არის დაყენებული. როგორც მოწაფეებს ისე მათ მშობლებს ძალიან აინტერესებს წიგნები. ჩვენ თბილისიდან ჩავიტანეთ რამოდენიმე ასი ცალი წიგნები, რომელიც დაურიგეთ გლეხებს. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ამბობდნენ: „ჩვენ არ ვიცით კითხვა, მარა ჩვენმა შვილებმა ამ ცოტახნის განმავლობაში ძალიან კარგათ ისწავლეს კითხვა"-ო.

გლეხებმა გვთხოვეს, რომ მეორე დღეს გაგვეკეთებია დაწვრილებით მოხსენება მომენტზე და საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. 2 მაისს, კლუბში თავი მოიყარა მრავალმა გლეხებმა. დიდის ყურადღებით მოისმინეს ჩვენი მოხსენებები. დიდი კმაყოფილი არიან ფულის რეფორმით. სოფელ პრიუტში არის სამი სკოლა, აქვთ სამკითხველო, კლუბი. დროგამოშვებით მართავენ წარმოდგენებს.

პრიუტის შეფობა აქვს აღებული მე 15 იარჩეიკას, რომელსაც დიდი შრომა დაუდვია ამ სოფელში კულტურის ასაყვავებლად. ბევრი სოფლები უშეფოთ არიან და საჭიროა თბილისის ორგანიზაციებმა აიღონ შეფობა მათზე, ვინაიდგან ამას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. თუნდაც ის რათ ღირს, რომ თბილისელი მუშები ჩავლენ სოფლებში და მათ ახალ ამბებს უამბობენ. თბილისის მუშებმა უნდა მიაქციონ სოფლებს ყურადღება. ეს ჩვენი ვალია.

მუშა თ—ძე

რა საჭიროა?!

(სადგური შორაპანი.)

იყო დრო, რომ მთელი წლის განმავლობაში მარტო ორჯერ იწერებოდა ხოლმე რონოდები (ვაგონები) 1 იანვარს და პირველ მაისს და ისიც მარტო №№-რები.

ამ მხვრივ ჭიათურის რკ. გზა ყოველთვის განთავისუფლებული იყო, ვინაიდან რონოდები, გარდა ჭიათურა-შორაპნისა არსად მიმოდიან და ერთსადგილას იმყოფებიან.

— ეხლა კი ყოველი თვის 1 რიცხს იწერებიან და ისიც ერთი და იგივე ცნობები: გზის დასახელება, რონოდების №№-რები; მუხრუჭიანია თუ უმუხრუჭო; რამდენს წაზიდავს; რონოდების ვინაობა; დიხურულია, ღია, თუ სხვა და წლიური გასინჯვა.

აქ, შორაპანში, ორთავე რკინის გზაზე არა ნაკლებ 200-300 რონოდისა არის და მათი ასე წამდაუწუმ აღწერა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთ ადმინისტრატორთაგანს ჰგონია და ისიც ცუდს ამინდებში. ვიცოდეთ მაინც: რა საჭიროა მათი ასე წამდაუწუმ აღწერა და ისიც ჭიათურის რკინის გზაზე?!?

— გარდა მეტი ხარჯებისა და ჯაფისა არავითარი სარგებლობა მას არ მოაქვს რკინის გზაზე, ეს სულ უბრალო სოფლის კაცსაც შეუძლიან გაიგოს, საჭიროა, რომ ამიერიდან მოისპოს და როგორც წინათ, დამყარდეს მათი აღწერა წელიწადში ორჯერ.

ესევე ითქმის ამ გზის რონოდების იმ მიმოსვლის მაუწყებლის შედგენაზედაც, რომელსაც აქ, შორაპანში, (ჭიათურის რკ. გზაზე) აწარმოებენ.

იმედია, რომ ამას სერიოზულ ყურადღება მიქცევა ვისგანაც ჯერ არს და მით მუშა-მოსამსახურეებს გაანთავისუფლებენ ზედმეტი ხარჯებისა და შრომისაგან ვინაიდან 2-3 დღე უხდებათ ხოლმე ამ გამოუსადეგარ საქმეზე თავის ტეხა.

პ—ნეს ნ—ული.

უვარგისი ადმინისტრატორები უნდა დაიფერთხონ.

საქმე ეხება სახელმწიფო ქონებას და იგიც ისეთს, როგორიც არის დღეს შპალების საკითხი რკინის გზისათვის. ეაკვირდები ნავთლუღში შპალების საყენთ ქარხანაში საქმეს და გულ ახთით უნდა ვსთქვა, რომ ყველა აქ მომუშავე ადმინისტრატორები პასუხისგებიშია მისაცემი დაუდეგრობისა და საბოტაჟისათვის. რა უნდა უწოდოთ ისეთ მოვლენას, თუ არა დაუდეგრობა, როცა ორას ოცი-ათასი შპალი გროვდება ქარხან-ში და მისი ყენთა კი მიდის ისე ზანტათ რომ თვეში ქარხანა ერთიმეორეზე ძლივს უშვებს 20 ათასამდე შპალს, მაშინ, როცა უნდა უშვებდეს არა ნაკლებ 1500-ს დღეში. შპალის საჭიროება ხაზზე თითქმის კატასტროფამდე არის მისული. საჭირო ანტისეპტიკა მოდის ძლიერ დაგვიანებით დაგვიანებით და ისიც ძლიერ ცოტა, ასე რომ დღეს ქარხანაში ოცი დღის საყოფი ანტისეპტიკა არის და ახლის შაძენაზე კი არავინ ფიქრობს, შპალები გადმოცლილი და დაწყობილია ყოველად უსისტემოთ: ა) არ არის დაცული ხანძრის გაჩენის საწინააღმდეგო ზომები; ბ) **შპალები არ არიან გადარჩეული „ტიპებით" და გადაურჩეველათვე იგზავნებიან ხაზზე რაიც ყოველათ დაუშვებელია დი დიდ ზარალს აძლევს რკინის გსას.** გ) გარდა ამის არ არის გატარებული ნაციონალიზაცია, ადმინისტრაციული პერსონალში საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. რა შეიძლება უწოდოთ ასეთს მოვლენას თუ არა საბოტაჟი როცა: ა) ქარხნის გადაცემა ერთი გამგიდგან მეორეზე სწარმოებს 20/III-გან და დღესაც არ არის დამთავრებული., ბ) შპალების რაოდენობა, **საბუთებით მეტია ვინემ სინამდვილეში არის.** ამ მოვლენამ გამოიწვია ლიანდაგის მეშვიდე უბნის უფროსისაგან მეორე კომისიის დანიშვნა შპალების დასათვლელათ: გ) მოსამსახურები დაწყებული გამგიდგან და მისი თანაშემწიდან გათავებული ათისთავებით ეპყრობიან თავის საქმეს ძალიან გულ გრილათ და დაუდეგრათ, რადგანაც პირველნი არ იჩენენ არავითარ ინიციატივას და საქმისადმი მუყაითობას. ასე რომ ამ ქარხანას ძლიერ ეტყობა უპატრონობა და ასეც დარჩება სინამ არ იქნება აცილებულ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები და გამონახული მაგარი და საქმის მუჩაითი ქარხნის გამგე. საქმე დაყოვნებას არ ითმენს. საჭირო არის დაუყენებლივ იქნეს მიღებული საჭირო და გადამჭრელი ზომები.

მუშა ვასო.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

მთელი კვირის განმავლობაში ყურადღების ცენტრად რჩებოდა გერმანიაში საბჭოთა წარმომადგენლობის დარბევა. ჩვენი წარმომადგენელის ამხ. კრესტინსკის საპროტესტო ნოტის საპასუხოთ, ბ-ნ შტრეზემანი შეეცადა ბაღმა შემოგვდავებოდა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობა, როგორც სავაჭრო, არ სარგებლობს უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის საერთოდ მიღებულ ექსტერიტორიალობის უფლებით.

უარი განაცხადა აგრეთვე დატუსაღებულ თანამშრომელთა განთავისუფლებაზე.

ამხ. კრესტინსკი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ბერლინი და მოსკოვს გამოეგზავნა. ამ გარემოებამ ფრიად შეაფიქრიანა ბატონი შტრეზემანი.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ის სცდილობს შშვიდობიანათ მოაგვაროს საკითხი. ამ მიზნით მან სათათბიროთ მიიწვია ბერლინში მყოფი ჩვენი რწმუნებული ბროდოვსკი.

* * *

უსათუოდ დიდი გავლენა იქონია შტრეზემანზე აგრეთვე დემონსტრაციებმა, რომელიც მთელს კავშირში გაიმართა და გერმანიასაც მოედო.

სააღმშენებლო მრეწველობის მუშათა სრულიად საკავშირო ყრილობაზე ამბ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ მიმდინარე საპროტესტო დემონსტრაციები უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ ჩვენ შეტაკებას ბერლინის პოლიციასთან „ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ ამბების განვითარებამ არ მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე, რომ პროლეტარიატის ხმა მისწვდეს ბერლინს და აიძულოს ის მიიღოს ზომები კონფლიქტის მოსაგვარებლად ბერლინის კონფლიქტმა, რომელიც შეჰქმნეს პროვოკატორებმა—სოციალ დემოკრატებმა, და რომელიც ატარებდა თუმცაღა სეიიოზულ, მაგრამ ადგილობრივ, შემთხვევით ხასიათს,—გამოიწვია მანიფესტაციები ქუჩებში ეს იმას მოწმობს, რომ ის იწვევს მღელვარებას საბჭოთა კავშირის და გერმანიის მშრომელ მასებში.

ეს საფრთხეს უმზადებს ნორმალურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

გერმანიის განუხორციელებელმა რევოლიუციამ მოგვცა ისტორიაში უდიდესი მაგალითი ხელიდან გაშვებული რევოლიუციისა. ამჟამად გერმანიის კომუნესტებმა მიიღეს 3,600,000 ხმა ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის კომპარტია უდიდეს ძალას წარმოადგენდა შარშან და ჩვენ ვერ შევაფასეთ მისი ძალები. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ სინამდვილეს და გვსურს დავიცვათ მშვიდობიანი ურთიერთობა გერმანიასთან. რომელსაც ჯერ ჯეროობით სათავეში უდგას მარქსი, მაგრამ ეს ურთიერთობა საფრთხის წინაშე სდგას. ჩვენ სრულებით არ გვსურს საქმის მიყვანა განხეთქილებამდე ან გერმანიასთან ურთიერთობის გართულება, მაგრამ ჩვენ ნებას არ მივსცემთ გერმანიის მთავრობას ასე მუხანათურად დაგვადგას ფეხი.

კონფლიქტის გამწვავება ჩვენ არ გვსურს, აუცილებელია მისი ლიკვიდაცია. მდგომარეობა რთულდება მით, რომ საქმეში ერევიან მუშათა ფართო მასები, რომლებიც გამოხატავენ თავიანთი ქვეყნის სულიერ განწყობილებას, პოლიტიკას და საზოვადოებრივ აზრს.

დღევანდელი მანიფესტაცია—ეს არის გერმანიის მთავრობის გაფრთხილება, რომელიც მას მოუწოდებს წესრიგისაკენ. ეს მოითხოვს ჩვენგან უფრო ენერგიულ და მტკიცე პოლიტიკას ამ საკითხში. ვიქონიოთ იმედი, რომ ამ გაფრთხილებას გაიგონებენ“.

* * *

საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ ს. ს. რ. კავშირში. თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქებში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაციები, რომელშიაც ათი ათასობით მონაწილეობას იღებდენ მუშები და მოქალაქენი.

კვირას 12 მაისს მოსკოვში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 700.000 მოქალაქე, გაიმართა შემდეგი ლოზუნგებით: „საბჭოთა კავშირს ვერ შეაშინებთ ტყვიით, თავდასხმით და ულტიმატუმებით“! „ძირს მსოფლიო ფაშიზმი“! „კომკავშირი პროტესტს აცხადებს სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო. კომკავშირს მტკიცეთ უჭირავს ხელში თოფი“!

წითელ მოედანზე დემონსტრანტებს მიესალმენ ამბ. სემაშკო, ენუქიძე, მელნიჩინსკი, პავლოვიჩი და სხვა. მოსკოვის საბჭოს წევრთა სახელით—საბჭოს წევრები: კომინტერნის აპარატიდან—გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნის კომპარტიების წარმომადგენლები. დემონსტრანტები გაიძახოდენ: „გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას, გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს“! ლეონტიევის შესახვევი, სადაც მოთავსებულია გერმანიის საელჩო, დემონსტრანტების მეტის მეტი მღელვარების გამო, დაკავებული იყო მილიციის დამცველ რაზმებით.

ოდესაში დემონსტრაციაში 25,000 კაცი იღებდა მონაწილეობას. კიევში, ხარკოვში, ლენინგრადში და სხვაგან მუშები ქუჩაში გამოვიდენ პლაკატებით „ძირს გერმანიის ფაშისტები, „შორს საბჭოთა კავშირიდგან გერმანული ფირმები“, „გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს“ და სხვა.

* * *

დემონსტრაციათა ტალღა თვით გერმანიასაც მოედო.

11 მაისს ლეიპციგში და იენაში გაიმართა მასიური საპროტესტო კრებები. ბერლინის პოლიციის მიერ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო. ორატორები აღნიშნავდენ, რომ გერმანიაში საბჭოთა კავშირიდან პურის შემოტანის შეწყვეტა, სიმშილობას უმზადებს გერმანელ მუშებს. საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიაში დაკვეთების შეწყვეტა კი გააძლიერებს უმუშევრობასო.

* * *

თითქმის მინელებული კლასთა ბრძოლის ცეცხლი გერმანიაში კვლავ ჩაღდება. პროლეტარიატი კვლავ გამოდის ქუჩებში და თავისუფლებათა დასაცავად იბრძვინ იარაღით ხელში. გასულ კვირის განმავლობაში ჰალლეში მომხდარი ამბები ნათლად ადასტურებენ იმას, რომ გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის გულში ღვივის ცეცხლი, ის არ ჩამქრალა და ადრე ამოხეთქს კიდეც, მედგარ რევოლიუციონურ შეტევის სახით, გერმანიის კაპიტალისტურ წყობილებაზე.

ამაში გვაწრმუნებს ჰალლეში მომხდარი ამბები.

შეტაკების მიზეზი ის იყო, რომ ჰალლეში გაიმართა დიდი ფაშისტური დემონსტრაცია. დემონსტრაციის საბაბათ შეიქნა წარსულ წელში მუშების მიერ ჩამოგდებული მოლტკეს ძეგლის აღდგენა. ჰალლეში დემონსტრაციის წინა დღეს თავი მოიყარა ჰიტლერის 30,000 მომხრემ, მრავალმა ოფიცრებმა, სტუდენტებმა და მოხელეებმა. ყველა ისინი სპეციალური მატარებლებით ჩამოვიდენ.

2,000 პოლიციელი იცავდა ფაშისტ-დემონსტრანტებს. მუშები, რომლებიც მოდიოდენ ჰალლეში ახლო რაიონებიდან, პოლიციამ შეაჩერა ქალაქს გარეთ, რომ მათ ხელი არ შეეშალა დემონსტრაციისათვის. მუშები, რიცხვით 18,000 კაცამდე. შეეცადენ გაეკაფათ გზა ქალაქისაკენ. მუშებსა და პოლიციას შორის გაიმართა ნამდვილი ბრძოლა. პოლიციას მომზადებული ჰქონდა სანგრები და შეიარაღებული იყო ტყვიისმფრქეველებით. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. დღემდე მიღებული ცნობების თანახმად, ორი მუშა მოკვდა, მრავალი მძიმეთ დაიჭრა—პოლიციამ ჯავშნიანი ავტომობილებით მიიღო დახმარება, ალყა შემოარტყა მუშებს და მოუჭრა მათ გზა ქალაქისაკენ.

ამავე დროს პოლიციამ ალყა შემოარტყა მუშების შესაკრებ მთავარ პუნქტს—სახალხო სახლს, მოსთხოვა ალყაშემორტყმულ მუშებს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ჯგუფ ჯგუფათ ჰალე ღამის 11 საათისათვის 4000 მუშა ისევ ალყაშემორტყმული იყო პოლიციის მიერ, ქალაქში აუარებელი მუშები დააპატიმრეს.

შეტაკებამ ჰალეში ნათელყო რომ გერმანიის პროლეტარიატი ახალი ბრძოლებისათვის ემზადება. ჩქარა გერმანიაში აფრიალდება პროლ. დიქტატურის დროშა.

* * *

დასრულდა საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები.

ოფიციალური ცნობებით დეპუტატთა პალატის ახალი შემადგენლობა ასეთია: კონსერვატორები—20. რესპუბლიკანელები—117, მემარცხენე რესპუბლიკანელები—52, მემარცხენე დემოკრატები—75, რადიკალ-სოციალისტები—139, რესპუბლიკანელი სოციალისტები—35, სოციალისტები 102, კომუნისტები—29, უპარტიოები—4.

ამ რიგად მემარჯვენე ბლოკი არჩევნებიდგან სასტიკათ დამარცხებული გამოვიდა. გამარჯვება ოპოზიციას ხვდა წილად. არჩევნების შედეგათ მოსალოდნელია პუანკარეს და მილიერანის გადადგომა,—დეპეშები უკვე კანტი კუნტათ იძლევიან კიდეც ცნობას ამის შესახებ. თუ პუანკარე გადადგა მაშინ მოსალოდნელია ახალ მთავრობაში შევიდნენ სოციალისტებიც. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთის აწინდელი მთავრობა ვეღარ აწარმოებს იმ ურა პოლიტიკას, რომელსაც ასე გულმოდგინეთ ანხორციელებდა პუანკარე—ომი და რომლის შედეგათ საფრანგეთის ხალხი გაძვალ ტყავდა. ეს გამოარკვია არჩევნებმა. შეიცვლება აგრეთვე დამოკიდებულება ჩვენსა და საფრანგეთს შორის. და ბოლოს დაირღვევა ერთადერთი მთელს ევროპაში, კედელი, რომელიც ჰყოფს დღემდის საფრანგეთსა და ს. ს. რ. კავშირს.

ახალი მთავრობის თავმჯდომარეთ, სხვათა შორის ცნობილ ერიოს ასახელებენ. ამ უკანას-

კნელმა ჯერ კიდევ არჩევნების წინ განაცხადა, რომ ის მომხრეა ს. ს. რ. კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის.

* * *

საფრანგეთის არჩევნები საყურადღებოა აგრეთვე, როგორც მაჩვენებელი საფრანგეთის პროლეტარიატის თან და თანობით გამოფხიზლების გზაზე შედგომისა. ამის შესახებ კაშენმა „როსტას“ კორესპოდენტს განუცხადა რომ სოციალისტური პარტია, რომელმაც ვერ გაბედა ბრძოლაში აშკარად მონაწილეობის მიღება, იძულებული იქნება წავიდეს შეთანხმებაზე ბურჟუაზიულ პარტიებთან მთავრობას შედგენის დროს.

პარიზის ოლქის კომუნისტებმა მიიღეს ყველა იმ მუშების ხმები, რომლებიც 1919 წელში სოციალისტებს აძლევდენ ხმას. ეს მუშები პარიზის კომუნის იდეალების ერთგული დარჩენ და ხმა მისცეს კომუნისტურ პარტიას.

პროვინციაში, თვით იმ მუშებმა, რომლებიც კომუნისტებს თანაუგრძნობენ, ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს და, იმ მიზნით, რომ დაემარცხებიათ ნაციონალური ბლოკი, ხმა მისცეს შემარცხენე ბლოკს.

პუანკარეს მდგომარეობა შეირყა. მილიერანი უფრო ცუდ მდგომარეობაშია ამ მხრივ. საბჭოთა კავშირის ცნობისა და ამნისტიის საკითხები დაუყოვნებლივ დაისმება ახალი პალატის წინაშე.

ნაციონალური ბლოკის დამარცხებით იწყება ახალი პერიოდი საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ვნახოთ რას მოგვიტანს ის.

* * *

საფრანგეთის არჩევნებმა ჰპოვა გამოძახილი სხვადასხვა ქვეყნის პრესაში, ყველა ცდილობს თავისებულად გააშუქოს არჩევნების შემდეგ საფრანგეთის უახლოესი პერსპექტივები.

ინგლისის პრესა. ეხება რა პუანკარეს დამარცხებას არჩევნებში „ტაიმს“ ამბობს: „უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არც არჩევნებამდი, არც არჩევნების დროს პუანკარეს არც ერთი მოწინააღმდეგ ვინც ახლა არჩეულია პალატაში, ვერ ბედავდა გალაშქრებას პუანკარეს წინააღმდეგ რურის საკითხში“.

„ტაიმსი“ ფიქრობს, რომ ახალი მთავრობის ტაქტიკაში საგარეო საკითხებში დიდი განსხვავება არ იქნება იმ ხაზისგან, რომელიც ეჭირა პუანკარეს, მაგრამ ამასთანავე გაზეთი საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ ახალ მთავრობას საშუალება ეძლევა დახმარება გაუწიოს ევროპაში ნორმალური პირობების აღდგენის საქმეს.

საფრანგეთის პრესის აზრი. გაზეთი „მატენ“ ფიქრობს, რომ მთავრობის კრიზისი გადაჭრილი იქნება პირველი ივნისისათვის. ახალი კაბინეტი საერთოდ განაგრძნობს საფრანგეთის საერთო პოლიტიკას.

საფრანგეთის პრესა იქვობს, რომ სოციალისტები ითანამშრომლებენ რადიკალებთან.

„პტი პარიზეინ“ ფიქრობს, რომ პუანკარეს მემკვიდრე იქნება არა ბრიანი, არამედ ერთიერ.

ამერიკის პრესის აზრი. „ნიუ იორკ-ტაიმს“ იშიშობს რომ გერმანია საფრანგეთში არჩევნების შედეგებს გაიგებს როგორც უარის თქმას ძველს პოლიტიკაზე მის მიმართ.

გაზეთი საჭიროთ სთვლის, რომ მაკდონალდი დაეხმაროს საფრანგეთის ახალ მთავრობას.

ერთი რამ აშკარაა, ყველასათვის არჩევნების ასეთი შედეგი მოულოდნელი იყო.

* * *

ყურადღებას იქცევდა, აგრეთვე, ლონდონის კონფერენცია, გასულ კვირის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა ძალთა განწყობილება პუანკარეს ჩვენი პოზიციები გაამგარა, ვინაიდან ამ უკანასკნელის დამარცხება დიდ გავლენას მოახდენს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე უნდა ვიფიქროთ რომ შეიცვლება, აგრეთვე პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. მართალია, ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ არ შესწყდება, მაგრამ შემდეგში ძველი გზით აღარ იწარმოებს. ჩვენის აზრით, ომის პროპაგანდას და პირდაპირი ზეგავლენის მეთოდებს ახალი მთავრობა შესცვლის დიპლომატიური ხრიკებით და ფანდებით.

ასე თუ ისე, პუანკარეს წასვლა უკვე ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობას, ახლო მომავალში საფრანგეთი აღარ დააყოვნებს.

ამ გარემოებას არ შეუძლია არ მოახდინოს შესაფერისი გავლენა ლონდონზეც. პუანკარე „ომის“ დამარცხება უთუოდ შეასუსტებს მაკდონალდის პოზიციებს. ახალი საფრანგეთის სახით, ინგლისს უჩნდება ძლიერი მეტოქე ჩვენთან ურთიერთობის განახლების სფეროში ამ მხრივ ინგლისი დღემდის გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა ვიდრე დღეს არის.

მაკდონალდი უთუოდ გრძნობს ამას.

მაშასადამე ჩვენი და ინგლისის მოლაპარაკებაც უკვე ახალ სტადიაში შედის. ჩვენი პოზიცია უკვე, წინანდელთან შედარებით, გაძლიერდა. ეს სათანადო გავლენას მოახდენს კონფერენციის მუშაობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინგლისის წარმომადგენელნი სცდილობდენ, რაც შეიძლება დაჩქარებით ეწარმოებიანთ კონფერენციის მუშაობა.

ეს დაჩქარების „ციებ-ცხელება“ უსათუოდ იყო კავშირში საფრანგეთის არჩევნებთან.

ინგლისი მოელოდა, რომ საფრანგეთში არჩევნების დროს შეიძლებოდა ნაციონალური ბლოკის დამარცხება, რასაც საფრანგეთის საერთო პოლიტიკის შეცვლა უნდა მოყოლოდა, განსაკუთრებით კი ჩვენს საკითხში.

ინგლისის ბურჟუაზია გრძნობდა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მისი „წონა“ დაიკლებდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ინგლისის კონსერვატორები უკმაყოფილონი იყვნენ ამბ. რაკოვსკით.

მათი აზრით რაკოვსკი არ ჩქარობდა, ხოლო სიჩქარე კი საჭირო იყო მათი ინტერესების მიხედვით.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, როგორი ტემპით წავა კონფერენციის შემდეგი მუშაობა.

ჯერ-ჯერობით ის ნორმალურად მიმდინარეობს. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი პოზიციებიც გაცილებით გამაგრებულია.

ქრონიკა

◆ გერმანელ ფაშისტების მიერ ბერლინში საბჭოთა წარმომადგენლობის დარბევის გამო, 10 მაისს თბილისში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია.

◆ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა რამოდენიმე ათი-ათასი მუშები და მუშა ქალები.

◆ დემონსტრაცია გერმანიის წარმომადგენლობის შენობისაკენ გაემართა. იქ წარმოითქვა საპროტესტო სიტყვები მუშების მიერ. გერმანიის საელჩოდგან საპასუხოთ არავინ გამოჩენილა.

◆ სპილენძის ფული ხმარებაში შემოვა 1 ივნისიდან.

◆ ამხ. ფილიპე მახარაძე ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაინიშნა სახელმწიფო გეგმათა თავმჯდომარეთ.

◆ ამხ. შ. ელიავა დაინიშნა საკონცესიო კომისიის თავმჯდომარეთ.

◆ ფულის რეფორმა დაუბრკოლებლათ მიმდინარეობს. ბაზრის მდგომარეობა მტკიცეა.

◆ ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ გადასწყვიტა: დროგამოშვებით იქნეს გადათვალიერებული დაწესებული ნიხრი.

◆ საქართველოს კომპარტიის ყრილობა დასრულდა. ყრილობა გაერთიანების და შინაურ უთანხმოების მოსპობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

◆ ა. კ. კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა გაიხსნა სასახლის წითელ დარბაზში.

◆ ა. კ. რკინის გზებზე სწარმოებს სასწრაფო მუშაობა ნაციონალურ ენების შემოსაღებათ. დაარსებულია კიდევ სამი დამატებითი კომისია.

◆ ბათუმში იჭდრო სადგურის აგების პროექტი, საკავშირო გეგმათა კომისიის (მოსკოვის) მიერ ცნობილ იქნა მიზან შეწონილად.

◆ ქ. აღმასკომთან დაარსდა ინტერვენციით გამოწვეულ ზარალის გამომრკვევი კომისია, ამხ. მესხის, ა. რუხაძის და დ. ვაშაკიძის შემადგენლობით.

◆ გაიხსნა ა. კ. პროფკავშირთა ყრილობა.

◆ მენშევიკური პარტიის რღვევა დაიწყო აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკაშიც.

სხვა და სხვა ამბები

◆ ამხ. კრესტინსკი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გერმანიაში, ჩავიდა მოსკოვში.

◆ პირველათ ინკინდენტის შემდეგ, 11 მაისს. შტრეზემანმა მიიწვია სათათბიროთ ს. ს. რ. კ. რწმუნებული ბროდოვსკი.

◆ მთელ საბჭოთა კავშირში, გერმანელ ფაშისტების თავხედობამ, გამოიწვია დიდი საპროტესტო დემონსტრაციები.

საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში გერმანელ მუშების მიერ.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა გადადიდო პირველ ივნისამდე.

საფრანგეთის არჩევნებში პუანკარე დამარცხდა.

არჩევნებში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის მომხრე მემარცხენე ბლოკმა.

პუანკარეს მოადგილეთ ასახელებენ ბრიანსს და ერიოს. უკანასკნელი მომხრეა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისა. ამას წინათ ის საბჭოთა კავშირში იყო.

საფრანგეთის პარლამენტის არჩევნებში დამარცხდენ ცნობილი რეაქციონერები ტარდიე და გენერალი კასტელნო.

ბულგარეთში დასრულდა საპარლამენტო არჩევნები. გამარჯვება წილად ხვდა კომუნისტურ პარტიის და გლეხების ბლოკს.

ბენეშმა (ჩეხო სლოვაკია) წინადადება მისცა იტალიას და საფრანგეთს, მცირე ანტანტაში შესვლის შესახებ.

განზრახული თათბირი პუანკარესა და მაკდონალდის აღარ შესდგება, პუანკარეს არჩევნებში დამარცხების გამო.

პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობა შეირყა. „დამოუკიდებელ" პოლონეთს „ესტუმრა" საფრანგეთის ფინანსიური ინსპექტორი.

რურში სწარმოებს მაღაროს მუშების გაფიცვა.

ჰალეში (გერმანია) გაიმართა ფაშისტური დემონსტრაცია. დაესწრო ცნობილი რეაქციონერი ღენერალი ლიუდენდორფი და მაკენზენი.

11 ივნისს შეიკრიბება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

ინდოეთში მძინვარებს ხოლერა. მსხვერპლი დიდია.

არჩევნების შემდეგ იაპონიაში მოსალოდნელია მთავრობის გადადგომა.

საბჭოთა მთავრობამ მოსთხოვა გერმანიას ბოდიშის მოხდა, წარმომადგენლობის დარბევის გამო.

ბულგარეთში გარდაიცვალა ამხ. ბლაგოევი. ამხ. ბლაგოევი იყო ბოლგარიის კომპარტიის ერთ ერთი დამაარსებელი და ბელადი.

16 მაისს შესდგა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენუმის სხდომა.

კონფერენცია გაეცნო კომისიების მუშაობის შედეგებს. ხელშეკრულებათა კომისიის მოხსენება დადასტურდა.

თუ საფრანგეთმა იცნო საბჭოთა კავშირი, მაშინ რესპუბლიკანელთა გავლენიანი ჯგუფი მოითხოვს, რომ ის **ამერიკამაც** იცნოს.

იაპონიაში საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა მთავრობის მომხრეები. ოპოზიციამ მიიღო 280 ხმა.

რედაქცია სთხოვს ამხანაგებს დაეჩქარონ ანგარიშების გასწორება.

მენშევიკური პარტიის დაშლა აფხაზეთში.

დაიწყო ჩქარის ტემპით მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია. ჩვენ მუშები მოწყვეტილი ყოველ გვარ სწორ ინფორმაციას, მოშორებული ცენტრს, რაღაც გაცრუებულ იმედებით კიდევ ვიკვებებოდით, მაგრამ ამ უიმედო იმედების ლოდინის დამღუპველობა, როდესაც დაგვისაბუთა ამხ. ილიკო ჯუღელმა, ჩვენც გამოვერკვიეთ და ჩქარის ტემპით დაიწყო ჩვენი პარტიის რღვევა.

და თუ წინეთ ჩვენი თვალები სტამბოლისკენ იყო მიპყრობილი და ზღვაში ველოდით ვისმე „განმანთავისუფლებელი" გემს, დღეს სრულიად გამორკვეულნი ვეცდებით ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას.

უკვე მოხდა ორ მუშათა უბნებში კრებები, სადაც ყოფილმა მენშევიკებმა დამღუპველად აღვიარეთ მენშევიკების მიერ აღებული გზა, მწუხარება გამოვსთქვით დაგვიანების შესახებ და სავსებით გავიზიარეთ ყველა ის დადგენილებები და დეკლარაციები, რომელიც მიიღო 25 აგვისტოს 1923 წ., სრულიად საქართველოს ყოფილი მენშევიკების ყრილობამ.

აგრეთვე მრავალი მოთხოვნილებები მოდის პროვინციიდან „ობლასტკომში", რათა ამხანაგებმა ინახულონ პროვინცია და გაუშუქონ იქ საქმის სისწორე.

საჭიროა შუამდგომლობა საქართველოს ცეკას აგიტპროპთან რათა ჩვენ ქართველ მუშებში გასავრცელებლათ გამოგვიგზავნონ ქართული ლიტერატურა და გაზეთები „მუშა" და „კომუნისტი", ამასთანავე თქვენი ჟურნალი, ობლასტკომის სახელზე, რომელსაც შემდეგ ის გაგვინაწილებს.

რეზოლიუცია, რომელიც მივიღეთ მუშებმა შემდეგია: ჩვენ სოხუმელ ადგილტრანსპორტის და ნარპიტის მუშებმა, მოვისმინეთ მოხსენება ამხ. ილიკო ჯუღელის, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტია მონაწილეა ყველა იმ ავანტიურა—პროვოკაციაში, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს მენშევიკური არალეგალური ცეკა და პარიტეტული კომიტეტი, ვგმობთ ასეთი საშვალებებით ბრძოლას კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ბანდიტებთან კავშირი და ბლოკი რევოლიუციის მტრებთან, პარიტეტულ კომიტეტის სახით, ვერ მიგვიყვანს ჩვენს საბოლოო მიზნამდე სოციალიზმამდე.

თანდათანობით ბრძოლაში ჩვენი პარტიის ზედაფენები წავიდნენ მარჯვნივ და შევიდნენ პარიტეტულ კომიტეტში. დღეს ჩვენ მტკიცე რწმენით ვიზიარებთ საქართველოს მშრომელ მასსის მიერ აღებულ გზას მე III ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით. ეს არის ერთად ერთი სწორი გზა სოციალიზმის მისაღწევად და ამისთვის დღეიდან ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, გვარდიელები და თანამგრძნობნი, შეგნებულათ ვტოვებთ ამ პარტიას და ვწყვეტთ ყოველ გვარ კავშირს მასთან, ვღებულობთ ყველა დეკლარაციებს და დადგენილებებს, რომელიც მიიღეს ყოფილ მენშევიკებმა 25 აგვისტოს 1923 წ., სრულიად საქართველოს ყრილობაზე ქ. ტფილისში.

დღეიდან, თუმცა სამწუხაროთ დაგვიანებით, მაგრამ მთელი ჩვენი ენერგიით და რევოლიუციონური წარსულით ვიქნებით თავდადებული დარაჯი საბჭოთა ხელისუფლების და კულტურულ ეკონომიურ აღორძინების განმტკიცებაში.

ამასთანავე მოუწოდებთ ყველა ჩვენ გაჯიუტებულ მერყეე ამხანაგებს დადგენ ჩვენ გზაზე—ვინაიდან ეს არის ერთად ერთი სწოორი გზა რევოლიუციონურ მუშისა და გლეხისა.

ჩვენ გთხოვთ აიღოთ ინიციატივა და მოიწვიოთ ქ. სოხუმის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია, სადაც მოგვეცეს ჩვენ საშვალება, ფორმალურათ კიდევ ერთხელ ჩამოვაყალიბოთ პარტიიდან გამოსვლის შესახებ, ჩვენი აზრი:

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ერთიან, ფრონტს, საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!..

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!..

გაუმარჯოს III ინტერნაციონალს!...

1. ბოკუჩავა ტერენტი პარტიაშია 1917 წ.,
2. ქარცივაძე იაგორ 1915 წ.
3. საჯაია მოსე 1917 წ.,
4. სოსელია ერმანოზი გვარდიელი და, თანამგრძნობი
5. ცოცორია ილარიონი „
6. ციკორიძე რაჟდენი „
7. ჯანჯღავა ლავრენტი „
8. კვანტალიანი იაკობი „
9. კაშიბაძე იასონი „
10. ორაბელიძე დიომიდე „
11. დადიანი გრიგოლი პარტიაშია 1913 წ.
12. მექვაბიშვილი იაკინთე „ 1917 წ.,
13. ნოდია ალექსანდრე გვარდიელი და თანამგრძნობნი
14. არსენიშვილი იაშა „
15. კოკაია იასონი „
16. ფონია ილარიონი „
17. გაბუნია პავლე „
18. ლეონიანი ბოგდასარი პარტიაშია 1901 წ.
19. უნდილაია ილია პარტიაშია 1906 წ.
20. თეიმურაზ ადამია „

მუშა მეზღვაური **დ. ორაბელიძე.**

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჩლაიძე. ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. გ. ვარდოიანი.

ს. ს. ფ. უ. ს. ბოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 1932. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 1404 ტირაჟი 1500